გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 101
(11 353)

28 – 30 დეკემბერი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნინო სალუქვაძე

სეოკ-ის რჩეულნი

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასახელა სპორტის ოლიმპიურ სახეობებში 10 რჩეული სპორტსმენის ვინაობა, საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია *ნინო სალუქვაძე* (ტყვიის სროლა), შემდეგ მოდიან (ანბანის მიხედვით): გიორგი ასანიძე (ძალოსნობა), ემზარ ბედინეიშვილი (თ/ჭიდაობა), მუხრან გოგია (ძალოსნობა), ელდარ კურტანიძე (თ/ჭიდაობა), ტარიელ მელელაშვილი (ბ/რ ჭიდაობა), გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო), ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა), ნესტორ ხერგიანი (ძიუდო), რუსუდან ხოფერია (ბატუტი).

FIFA

For the Good of the Game

1985 წლიდან მოყოლებული ფიფა „ლელოს" რედაქციას ტრადიციულად ულოცავს ახალ წელს.
2000 წლის ეს მისალოცი ბარათი რედაქციამ გუშინ მიიღო უშუალოდ ფიფას პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის ხელმოწერით.

Season's Greetings
and a Happy New Year

Le Président
Le Secrétaire Général

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში

იქნება დაფინანსება – იქნება შედეგები! საით მივდივართ?

დეპარტამენტის საბჭომ 1999 წელს ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული შედეგები შეაჯამა

1999 წელს ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო სიდნეიში ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ციკლში ჩართულ სპორტსმენთა მომზადებასა და მათ მონაწილეობაზე სალიცენზიო საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მეტად არასტაბილური დაფინანსების პირობებში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტისა და სპორტული ფედერაციების ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს სპორტსმენებმა მაინც შეძლეს გარკვეული წარმატებების მოპოვება საერთაშორისო ასპარეზზე.

მიმდინარე წელს სულ მოპოვებულია 149 მედალი (შარშან 162), მათ შორის 38 ოქროს (51), 43 ვერცხლის (46) და 68 ბრინჯაოს (65).

აღნიშნული 149 მედალი, როგორც შარშან, ისე წლეულს, მოპოვებულია სპორტის 16 სახეობაში: 7 ოლიმპიური სახეობა (შარშან 6), სულ წლეულს 60 მედალი, ანუ მთელი მედლების 41, 1998-ში 60 მედალი — 36 %, მათ შორის: 11 ოქროს (13), 17 ვერცხლის (20) და 32 ბრინჯაოს (27).

სპორტის 9 არაოლიმპიურ სახეობაში მოპოვებულია 89 მედალი, 27 ოქროსი (37), 26 ვერცხლის (26) და 36 ბრინჯაოს (38) მედალი.

ძირითადი (მოზრდილების) ნაკრები გუნდების წარმომადგენლებმა, მსოფლიოს ევროპის ჩემპიონატებსა და თასების გათამაშებებში მოიპოვეს 66 (21 ოქროსი, 10 — ვერცხლისა და 26 ბრინჯაოსი). გასულ წელს 91 (32 ოქროსი, 26 ვერცხლის და 33 ბრინჯაოსი).

ახალგაზრდებს და ჭაბუკებს შორის გამართულ მსოფლიოს, ევროპის პირველობებსა და თამაშებში მოპოვებულია 83 (17 ოქროსი, 23 ვერცხლისა და 40 ბრინჯაოსი), გასულ წელს 68 (16 ოქროსი, 20 ვერცხლისა და 32 — ბრინჯაოსი).

სპორტის სახეობებიდან ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს სამბისტებმა — 38; ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა — 26, მკლავჭიდელებმა — 18, ძიუდოისტებმა — 16, მოჭადრაკეებმა — 18.

1998 წელთან შედარებით გაუმჯობესების შედეგები ტყვიის მსროლე-

იხ. მე-2 გვ.

გაუმარჯოს კობას! - ხმამაღლა აცხადებს გიორგი კანდელაკი

თავისი მეგობარი ფრენსისი კი სატაისონოდ ჯერ მზად არ მიაჩნია

ქართველმა პროფესიონალმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა მე-13 გამარჯვება იზეიმა, როცა, ამას წინათ, ლონდონში ინგლისელ დეკ მაკკოფოლდს სძლია. ამ გამარჯვებისთვის გიორგის რვა რაუნდი და დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ეს ორთაბრძოლა ერთგვარად საეტაპო იყო გიორგის პროფესიულ კარიერაში, რასაც მან და პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ***ვახტანგ ყანჩაველმა*** პრესკონფერენციაც მიუძღვნეს. პრესკონფერენციის დასაწყისი ვახტანგ ყანჩაველმა და გიორგი კანდელაკმა მილოცვით აღნიშნეს. ამ ერთი კვირის წინ ჩვენმა კობა გოგოლაძემ ვბცს (კრივის მსოფლიოს ასოციაცია) ვერსიით „ინტერკონტინენტალის" ჩემპიონობა მოიპოვა და ქართულ პროფესიულ კრივს კიდევ ერთი დიდი პროფესიონალი შეემატა. კობა გოგოლაძის გამარჯვება ჩემი წარმატებაც არის. სულით და გულით მიხარია. რა ჯობია, როცა შენი მეგობარი და თანაგუნდელი სარტყელს შემოირტყამს და სხვას ზემოდან გადახედავს. გაუმარჯოს კობას! — თქვა გიორგი კანდელაკმა და სიტყვა ვახტანგ ყანჩაველს გადაულოცა.

პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტს დიდი სურვილი აქვს, რომ გიორგი კანდელაკის საინტერკონტინენტალო ორთაბრძოლა თბილისში გაიმართოს, უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოში. გარდა ამისა, ფედერაცია გეგმავს, რომ სექტემბერში კანდელაკმა სარეიტინგო ბრძოლაც გამართოს საქართველოში. ამგვარი შეხვედრა ორჯერ გაიმართა და ვახტანგ ყანჩაველს უთუოდ აქვს ოპტიმიზმის საფუძველი.

ერთი საინტერესო დეტალიც, რომელზეც პრესკონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა: 29 იანვარს ლეგენდარული „რკინის მაიკი" – მაიკ ტაისონი ინგლისელ ჯულიო ფრენსისს ხვდება. ეს ის ფრენსისია, რომელიც გ. კანდელაკის მუდმივი სპარინგ-პარტნიორია. 36 წლისაა, 26 შეხვედრა მოუგია და აქედან 7 ნოკაუტით. საყურადღებოა კანდელაკის აზრი მომავალ ორთაბრძოლაზე: ფრენსისი 2-3 რაუნდს თუ გაუძლებს ტაისონს, შანსი არა აქვს გამარჯვებისა. კი, ძლიერი მოკრივეა რაღაც მომენტში, მა-

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

ქ. თბილისში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის ქ. თბილისის საგზაო პოლიციის სამსახურის საგზაო საპატრულო სამსახურის განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცეპოლკოვნიკი ***თემურ მირველაშვილი*** დაჯილდოვდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით.

გიგანტიზმის აღსაკვეთად

სპორტის ახალი სახეობები ოლიმპიურ თამაშებს ახლო მომავალში აღარ შეემატება

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა მარიო ვასკეს-რანიამ განაცხადა, რომ სოკ-მა აილო ოლიმპიურ თამაშებში გიგანტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში ოლიმპიური თამაშების პროგრამა სპორტის ახალი სახეობებით აღარ გაიზრდება. ზაფხულის ოლიმპიადებში მონაწილეთა რაოდენობა ფიქსირებული — 10 ათასი, ზამთრისაში — 5 ათასი. „მომავალში მხოლოდ შესაძლებელია სპორტის ზოგიერთი სახეობის ამოღება თამაშების პროგრამიდან და მათი ახლით შეცვლა" — დასძინა ვასკეს-რანიამ.

სამბო ითვლის, აჯამებს და აფასებს...

წლის მონაგარი

1999 წელი ვინ როგორ გაიარა. ზოგს საქმე საამაყოდ აქვს, ზოგს სავალალოდ, ზოგიც თავს იმით იმშვიდებს, რომ რაც არ მიუციათ, რას სთხოვენ. აქ დაფინანსება იგულისხმება. სამბოს ფედერაცია ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც 1999 წლის შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა იყოს. რაც შეეხება დაფინანსებას, ეს სახეობა მხოლოდ სპორტის დეპარტამენტის იმედად არ დარჩენილა. ფედერაციამ აქტიურად იმუშავა სპონსორებთან და იმ რაიონების ხელმძღვანელებთან, ვისი წარმომადგენლებიც ნაკრებ გუნდში ასპარეზობდნენ. ფედერაციამ წლევანდელი შედეგების შეჯამებისას, სპონსორებსაც მიაგო პატივი და სამი საუკეთესო მეოხიც დაასახელა. გამოავლინა სამი საუკეთესო სპორტსკოლაც, წლის რჩეული სპორტსმენები და მწვრთნელები თავისთავად.

ახლა შედეგებს გადავხედოთ. ჯერ თანხების შესახებ. 1999 წლის სამბოს ფედერაციამ სპორტის დეპარტამენტიდან მიიღო 31500 ლარი, სპონსორებიდან მიიზიდა 96 456 ლარი. ნაკრებმა გუნდებმა (დიდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები) მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა უმაღლესი რანგის ასპარეზობებში. ტრადიციულად, მსოფლიოს არენაზე გამოვიდნენ ვეტერანებიც.

მედლები:

დიდებში: 6 – I ადგილი, 2 – II, 9 – III, სულ 17 მედალი; ***ახალგაზრდებში:*** 2 – I, 3 –II, 9 – III, სულ 14 მედალი; ***ჭაბუკებში:*** 3 –I, 2 – II, 1 – III, სულ – 11 მედალი; ***ვეტერანებში:*** 4 – I.

წლის საუკეთესო სამი სპორტსმენი:
1. ივანე გამხიტაშვილი (კასპი), 2. მამუკა კურდღელაშვილი (საგარეჯო), 3. ნიკო ბიბილაშვილი (გორი).

სამი საუკეთესო მწვრთნელი:
1. ოლეგ იაძე (კასპი), 2. ემილ რაში (თბილისი), 3, თემურ პავლიაშვილი (გორი).

სამი საუკეთესო სპონსორი:
1. ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო (ვლადიმერ კანკავა), 2. საგარეჯოს რაიონის გამგეობა (თენგიზ ოქროცვარიძე), 3. ქ. ფოთის ჭიდაობის სპორტული სკოლა (ზურაბ ძაძამია).

საუკეთესო სპორტსკოლები:
1. საგარეჯოს რაიონის, 2. ქ. ფოთის, 3. ქ. გორის.

1999 წლის საუკეთესო მსაჯად ჩვენმა სამბოს ფედერაციამ დაასახელა ემილ რაში, რომელიც შეყვანილია მსოფლიო რჩეულ არბიტრთა ათეულში.

მილოცვები

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს საქართველოში სპორტული მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ ორგანიზატორს, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ***ოთარ კალაძეს.***

* * *

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ამავე საზოგადოების აქტიურ წევრს ***ვასილ ფეტვიაშვილს.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონს ტანვარჯიშში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ***გალინა შარაბიძეს.***

აზერბაიჯანს ფიფა და უეფა გარიცხვით ემუქრება

ახლახან აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროებმა განაცხადეს, რომ ჩატარდეს ქვეყნის საფეხბურთო ასოციაცია (აფფა) რიგგარეშე ყრილობა და აირჩიონ ამ ფედერაციის ახალი პრეზიდენტი. ფიფა-უეფა მიიჩნევს, რომ ეს ნიშნავს ეროვნული ფედერაციის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევას, რაც ეწინააღმდეგება ამ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების წესდებას და თუ პრობლემა ახლო მომავალში არ მოგვარდება, აზერბაიჯანი შეიძლება გაირიცხოს ფიფა-უეფას რიგებიდან.

ზემოხსენებული სამინისტროების შეტევას აფფა-ს პრეზიდენტი რიხიანად უპასუხებს: „არავითარი რიგგარეშე ყრილობა, საამისოდ არის განსაზღვრული თარიღი — 2002 წელი". მაგრამ 5 იანვარს აზერბაიჯანში, ფიფას რჩევით, შეიკრიბება აფფა-ს საფეხბურთო ასამბლეა, რომელიც იმსჯელებს თავჩენილ პრობლემებზე.

ბენდელას თასი - „ბენდელას"!

გიორგი დემეტრაძეს კი ორი პრიზი ხვდა

ნახევარფინალები მეტად მძაფრ და საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა – ლამის მთლიანად ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა „ბენდელამ" რის ვაინაჩრობით სძლია „თბილისს" და „ნაძალადევსაც" რთული მატჩი მოუწია „მეტეხთან" 3-2. მაგრამ გუშინ, სპორტის სასახლეში ორი არაკვიმატი შეხვედრა ვიხილეთ – მესამე ადგილისათვის დავაში „თბილისმა" არანაირი შანსი არ დაუტოვა „მეტეხს" – 7-0; ფინალს კი მხოლოდ მატჩის დებიუტში ახლდა ინტრიგა და დაძაბულობა. ასეთი უსუსური ფინალი ტურნირის ისტორიაში არ ყოფილა. „ბენდელა" გიორგი დემეტრაძის გოლით დაწინაურდა, ხოლო „ნაძალადევმა" ოსიპიდისის წყალობით გაათანაბრა ანგარიში – ასე დასრულდა პირველი ტაიმი. მეორე ნახევარში „ნაძალადევმა" ვეღარ გაუძლო ანჩაბაძის, დემეტრაძის, ნემსაძის, ჭიჭვეიშვილის, სოლოღაშვილის გააქტიურებას, მათი მეკარე აკაკი დევაძე, როგორც იტყვიან, დაცხრილეს და რომ არა მისი თავგამოდებული თამაში, ბენდელა ორნიშნა რიცხვითაც გაიმარჯვებდა, საბოლოოდ კი 6-1. მეორე ტაიმში ბურთები გაიტანეს ანჩაბაძემ (ჰეთ-თრიკი), დემეტრაძემ და ჭიჭვეიშვილმა. ფინალის შემდეგ კი გამოვლინდნენ ტურნირის ლაურეატები:

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ:

საუკეთესო მეკარე – აკაკი დევაძე („ნაძალადევი")

საუკეთესო მცველი – ალეკო ძაბირიძე („ნაძალადევი")

საუკეთესო დებიუტანტი – ირაკლი სამხარაძე („ოლიმპიკი")

მაყურებელთა სიმპათიის პრიზი – ლადო ბურდული („თბილისი")

იხ. მე-3 გვ.

როგორც იქნა ვლადიკავკაზის „ალანია" და კიევის „დინამო" მორიგდნენ – გიორგი დემეტრაძე უკრაინის ჩემპიონის ღირსებას დაიცავს და მას გაისიდან ჩემპიონთა ლიგის მატჩებში მონაწილეობის უფლებაც ექნება. ტრანსფერის ფორმალობები ჯერ არაა სისრულეში მოყვანილი, რის გამოც ვერ გამცნობთ თუ რა ვადით იქნება დემეტრაძის კონტრაქტი კიევის „დინამოსთან". ერთი კი ცხადია, იგი, ჯერჯერობით, ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იქნება ალბათ დსთ-ს ქვეყნების ისტორიაში.

იკლებს დაფინანსება — იკლებს შედეგები! საით მივდივართ?

(პირველი გვერდიდან)

ლებმა, ბატუტისტებმა, მშვილდოსნებმა. ტრადიციულად კარგად ასპარეზობდნენ საკოორდინაციო საბჭოში შემავალი ორთაბრძოლათა ფედერაციების წარგზავნილები.

მიმდინარე წელს სპორტის 11 სახეობაში, სულ მოპოვებულია სიდნეიში ოლიმპიური თამაშების 19 ლიცენზია. წყალში ხტომა — ნ. ნებიერიძე, სროლა — ნ. სალუქვაძე (2 ლიცენზია), მშვილდოსნობა — ნ. ქვრივიშვილი და ხ. ფუტკარაძე, ბატუტზე ხტომა — რ. ხოფერია, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: ტ. მელელაშვილი, გ. ჩხაიძე, ა. ცერცვაძე, თავისუფალი სტილით ჭიდაობა: ე. ბედინეიშვილი და ე. კურტანიძე, ძიუდო: გ. რევაზიშვილი, და ნ. ხერგიანი, კრივი — ვ. ჭანტურია, სპორტული ტანვარჯიში — ი. გიორგაძე, მხატვრული ტანვარჯიში — ი. თავდიშვილი, ძალოსნობა — 3 ლიცენზია.

აღსანიშნავია შეიარაღებული ძალების მსოფლიო თამაშებში საქართველოს ნაკრები გუნდის პირველი წარმატებული მონაწილეობა, სადაც მოპოვებულია 4 მედალი.

რეგიონებს შორის ტრადიციულად ყველაზე კარგად იასპარეზეს თბილისელმა სპორტსმენებმა, ასევე წარმატებულად გამოდიოდნენ საერთაშორისო სარბიელზე გორელი, კასპელი, ქუთაისელი, საგარეჯოელი, საჩხერელი და თელაველი სპორტსმენები.

შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენს სპორტსმენებს მონაწილეობა მიეღოთ ყველა იმ შეჯიბრებებსა და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში, რომელიც კალენდარული გეგმით იყო გათვალისწინებული. უსახსრობის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა საერთაშორისო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეთა რაოდენობა.

1999 წელს სულ ჩატარებულია 132 სპორტული ღონისძიება (1998-ში — 220), მათ შორის: 49 რესპუბლიკური (90) და 84 საერთაშორისო (140), რომელშიც მონაწილეობდა შესაბამისად, 1856 (4977) და 580 (1229) სპორტსმენი (52 %-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით). სულ სპორტულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 1.653.700 ლარი (შარშან 2.886.90) გადაუჭრელ პრობლემად რჩება სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე დამატებითი კვების თანხებისა და ხელფასების გაცემა.

გარკვეული წარმატებების მიუხედავად, საგრძნობლად დათმეს პოზიციები საერთაშორისო სარბიელზე ძირითადი (მოზრდილთა) ნაკრები გუნდების წევრებმა ძიუდოში, ძალოსნობაში, კრივში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მიმდინარე წელს არც ერთი ჩემპიონი არ მომზადებულა აღნიშნულ სახეობებში; მოპოვებული მედლების მთლიანი რაოდენობა მოზრდილებში კი 91-დან 64-მდე, ანუ 34 %-ით შემცირდა და შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით მთელი მოპოვებული მედლების მხოლოდ 42 % (შარშან 58 %) შეადგინა.

სუსტად იასპარეზეს ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბიში. ჩავარდნად უნდა ჩაითვალოს მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების შედეგები ბათუმში გამართულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ სიდნეიში ოლიმპიური თამაშებისათვის მოპოვებული 19 ლიცენზია, წინა ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით 17-ით ნაკლები იყო (36).

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭომ სალიცენზიო ტურნირებისა და საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის მზადების მიზნით სპორტული ფედერაციების მიერ გაწეული მუშაობა არასაკმარისად შეაფასა. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები სამომავლოდ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სათამაშო ბიზნესი

თამაში შემოქმედების განსაკუთრებული სახეა, რომელშიც ვლინდება ცოცხალი არსების ემოციური, ინტელექტური და ზნეობრივი შესაძლებლობანი. ეს არის შემთხვევის წინააღმდეგ ბრძოლა, წინასწარგამოუცნობი მოვლენების ჯაჭვის შედეგებზე სავარაუდო ფსონის გაღება, თავისუფალი დროის მხიარულად გატარება და სტრესის, უარყოფითი ემოციებისა და ნერვული დაძაბულობისაგან განტვირთვის საშუალება. თამაშები, რომლებსაც თან ახლავს ფსონი და სანაძლეო, არის ადამიანთა ყოფა-ცხოვრების, კულტურული სფეროს ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია.

რაში გამოიხატება თამაშის ლაზათი, რატომ არის, რომ თამაშით გართული ბავშვი ჰყტინებს აღტაცებისაგან, აზარტში შესულ მოთამაშეს რატომ ავიწყდება ყველაფერი ამ ქვეყანაზე, თამაშების მაყურებელი რატომ მიდის გაშმაგებამდე, მოთამაშეები რატომ იგლეჯენ თმას, აღრჭიალებენ კბილებს, განიმუხტებიან ყვირილით და გინებით, ექსტაზში შესულები აბრიალებენ თვალებს, ატოკებენ სხეულს, ხევენ ბანქოს ქაღალდებს, ყლაპავენ კამათლებს, ამტვრევენ დაფებს და სათამაშო ფიგურებს?

თამაში, როგორც ფენომენი, მრავალი ფილოსოფოსის კვლევის საგანი იყო. მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თამაშების წარმოშობა დაკავშირებულია მაგიურ საკულტო რიტუალებთან, ორგანიზმის თანდაყოლილ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან და ადამიანის ფსიქიკასთან. გერმანელი ფილოსოფოსის ემანუილ კანტის აზრით: „თამაშს ახლავს რეალობის ორმაგობა, როგორც შემოქმედებით სახეობას. ის ენათესავება ხელოვნებას, რომელიც ასევე მოითხოვს გათამაშებული კონფლიქტის რეალობის დაჯერებას ან არ დაჯერებას". ფ. შილერი კი ამბობდა: „ადამიანი თამაშობს მხოლოდ მაშინ. როდესაც ის, სიტყვის სრული მნიშვნელობით, ადამიანია და ის არის სრულყოფილი ადამიანი მხოლოდ მაშინ, როდესაც თამაშობს". უფრო სრულყოფილი განმარტება თამაშის ფენომენზე გამოთქვა ჰოლანდიელმა მეცნიერმა, თამაშების ისტორიის მკვლევარმა იოჰან ჰუიზინგამ, ნაშრომში „მოთამაშე ადამიანი" („Homo hudens" — გერ.), რომელშიც ამბობს: „თამაში არის ნებაყოფილობითი მოქმედება ან დასაქმება, მიღებული ადგილით და დროით, დადგენილ საზღვრებს შორის შესრულებული, მაგრამ თვითონ მასში დამყარებული აბსოლუტური სავალდებულო წესებით, დაძაბულობის და მხიარულობის გრძნობის თანხლებით, აგრეთვე სხვა ყოფის შეგნებით, ვიდრე ყოველდღიური ცხოვრება".

ცხოველებიც თამაშობენ, მაგრამ მათგან განსხვავებით ადამიანებმა იციან, რომ თამაშობენ, თამაში არის გონიერი საქმიანობა. თამაში კულტურაზე ძველია. მოთამაშე ადამიანი გამოჩნდა უფრო ადრე, ვიდრე შემოქმედი ადამიანი. ჯერ არაფრის შემქმნელი არსება უკვე თამაშობს. თამაში წინ უსწრებდა სიტყვას, მეტყველებას, რისი დამადასტურებელია „მორა" (თითებით თამაში).

ქართველი ტომები უხსოვარი დროიდან იყვნენ აზარტული და სპორტული თამაშების მოყვარულნი. დღემდეა შემორჩენილი ეროვნული თამაშები: ქართული ჭიდაობა, მშვილდოსნობა, კოჭაობა, კენჭაობა, რიკ ტაფელა, ლახტი, სიგრძეზე ჭოკით ხტომა, სახრეობა, ჯილდაობა, რჩოლაობა, ჭაკუნობა, კამათლებით თამაში, ნარდის თამაში, ბანქოს თამაშის ნაირსახეობა, ასევე დოლის ნაირსახეობები, ისინდი, მარულა, ჩოგან-ბურთი, ყაბახი...

სახეობის, აღწერილობისა და წესების მიხედვით, თამაშები კლასიფიცირებულია: კომერციულ, აზარტულ, ინტელექტურ და სპორტულ თამაშებად.

თამაშები ოჯახში, მეგობრების წრეში, კლუბში, კაზინოში, სხვა სათამაშო დაწესებულებაში, წარმოუდგენელია ტერმინოლოგიის, მოთამაშეთა ლექსიკის და, რაც მთავარია, თამაშების წესების ცოდნის გარეშე. თამაშის წესები დებულების, ნორმების და მოლაპარაკების პირობების ერთობლიობაა, რაც არეგულირებს თამაშის პროცესს, სუბიექტების და ობიექტების ურთიერთ დამოკიდებულებას. საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული თამაშის წესებისა და პირობების დარღვევა იწვევს დავებს და კონფლიქტურ სიტუაციებს, რაც ხშირად შეურაცხყოფით და ჩხუბით მთავრდება.

თამაშები აუმჯობესებს ადამიანების ფიზიკურ, გონებრივ მდგომარეობას, მეხსიერებას და მეტყველებას, ხელს უწყობს სათამაშო ბიზნესის განვითარებას. თამაშები ნამდვილად არის შემოქმედება, ხელოვნება, ინტელექტის ვარჯიში, ფსიქოლოგიური მომზადება, სათამაშო ბიზნესი — მაშასადამე, სასარგებლო საქმიანობა. აზარტი და რისკისაკენ სწრაფვა ჩადებულია თვითონ ადამიანების ბუნებაში. მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია, რომ წინათ მეფეები, მხედართმთავრები, ეკლესიის მსახურნი, თავადები, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში — კომუნისტები, კრძალავდნენ აზარტულ თამაშებს და დევნიდნენ თამაშების მოყვარულ ადამიანებს. ყოველი მათგანი ცდილობდა ადამიანები გამოეყენებინა თავიანთ სასარგებლოდ, ზოგს სურდა ადამიანებს მხოლოდ ეშრომათ ან ებრძოლათ, ან შეეძინათ სანთლები, ეკლესიის აქსესუარები, გაელოთ შესაწირები და ელოცათ, ზოგი თვლიდა, რომ თამაშები მხოლოდ მაღალი კლასის და მეფის კარის შესაფერისი საქმიანობაა.

თითქმის ყველა ქვეყანაში იყვნენ და ამჟამადაც არიან გამოჩენილი პიროვნებები, ვისთვისაც აზარტული თამაშები გატაცება იყო. მაგალითად: ლუდოვიკო XIV, ანდრე სიტროენი, პასკალი, ნიუტონი, უინსტონ ჩერჩილი, ჯონ გეისტი, ომარ შარიფი, ჯაკომო კაზანოვა, იული ცეზარი, იოჰან გოეთე, პეტრე I, ივან გროზნი, ბორის გოდუნოვი, ალექსანდრე პუშკინი, ლევ ტოლსტოი, თეოდორ დოსტოევსკი, მიხეილ კუტუზოვი, ვლადიმირ მაიაკოვსკი, ივანე კრილოვი, მიხეილ ბულგაკოვი და სხვა მრავალი.

თამაშები მრავალ სახელმწიფოში გახდა ლეგალური, ყველგან მოქმედებს ასობით სათამაშო სახლი, კლუბები, კაზინოები, ყოველწლიურად ტარდება ნაციონალური და საერთაშორისო ჩემპიონატები. შექმნილია ბრიჯის საერთაშორისო ფედერაცია, ბილიარდის მსოფლიო კავშირი. ოქსფორდის და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროგრამაში შეტანილია პოკერის თამაშის სწავლება, ხოლო რუსეთის სკოლებში 1997 წლიდან სპორტული ბრიჯის თამაშს ასწავლიან. საქართველოში მოქმედებს ჭადრაკის, ფეხბურთის, ნარდის, ბილიარდის ფედერაციები. თბილისში და სხვა ქალაქებშიც ფუნქციონირებს კაზინოები, ბილიარდის, ნარდის, ბინგოს და სხვა თამაშების კლუბები.

გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე დიდი კაზინო არის ავსტრალიის ქალაქ პერტეში „ბერსვუდ აილენდ კაზინო", ევროპაში ყველაზე ცნობილი კაზინოებია: „მონტე-კარლო" — მონაკოში და „ბადენ-ბადენი" — გერმანიაში. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი ლას-ვეგასი, ცნობილია, როგორც კაზინოთა ქალაქი, აქ თავმოყრილია 17000-ზე მეტი სხვადასხვა სათამაშო დაწესებულება, ხოლო კაზინოების შემოსავალი წელიწადში 2 მილიარდი დოლარია.

გენიალური ინგლისელი მწერალი უილიამ შექსპირი ამტკიცებდა, რომ „ადამიანების ცხოვრება არის თეატრი". მაგრამ 400 წლის მანძილზე კაცობრიობის ცივილიზაცია ისე სწრაფად განვითარდა, რომ ახლა კოსმოსური ხომალდების ატომური ბომბების და კომპიუტერების ეპოქაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანების ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე არის — თამაში. კერძოდ: საბავშვო, საოჯახო, გასართობი, სპორტული, კომერციული, აზარტული, ინტელექტური, საომარი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, დიპლომატიური, ხელოვნების, ფინანსური, სამეურნეო, რელიგიური, სასამართლო, სექსუალური, კინოთეატრალური, საცირკო, სარეკლამო, სატელევიზიო. კომპიუტერული...

თამაშის ფენომენის ექსპლუატაციის გზით ფულის შოვნის ლეგალურ სახსრებს იძლევა: სათამაშო დაწესებულება, სათამაშო დარბაზი, კაზინო, კლუბი, სტადიონი, საცურაო აუზი, ტრეკი, იპოდრომი, სათამაშო ინვენტარის და საგნების დამზადება და გაყიდვა, სატელევიზიო თამაშების ჩვენება, ვიდეო და კომპიუტერული თამაშები, ასევე წიგნების გამოქვეყნება თამაშების წესებზე.

ზემოხსენებულიდან დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ წიგნის გამოქვეყნებაც კი აზარტული თამაშების წესებზე არის სათამაშო ბიზნესის შემადგენელი ნაწილი, ესე იგი, მომგებიანი საქმიანობა. მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოშია გამოცემული წიგნები აზარტული თამაშების შესახებ, ხოლო ქართულ ენაზე ასეთი წიგნი ჯერ არ გამოცემულა. ინგლისური, გერმანული და რუსული წყაროებიდან მე შევაგროვე მდიდარი და საინტერესო მასალა, ერთ წიგნში მოვუყარე თავი ამჟამად პოპულარულ აზარტულ, კომერციულ, ინტელექტურ და სპორტული 130-დე თამაშის წესებს, თამაშების ისტორიას, ტერმინოლოგიას, მოთამაშეთა ლექსიკას, თამაშების ალბათობის მათემატიკურ თეორიას, წიგნში შეტანილია მასალები სათამაშო ბიზნესის წამყვანი ძალების შესახებ, როგორიცაა: პროფესიონალი მოთამაშე, შულერი, ბუკმეკერი, კრუპიე, კაზინოს მფლობელი, სპორტული ტოტალიზატორი და სხვა. წიგნი შედგება XI ნაწილისაგან, ესენია: სათამაშო ბიზნესის საერთო მიმოხილვა, ბანქოს თამაშები, კამათლებით თამაშები, ნარდის თამაშები, ბილიარდის თამაშები, ინტელექტური თამაშები, რულეტის თამაშები, აზარტული თამაშები ცხოველების მონაწილეობით, სხვადასხვა აზარტული თამაშები, უცხო ქვეყნების სპორტული თამაშები და ქართული ეროვნული თამაშები. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამაგიდო წიგნი ხელს შეუწყობს ადამიანებში ინტელექტის განვითარებას და ასევე სათამაშო ბიზნესის პოპულარობას და გავრცელებას.

მურად ლომინაშვილი

P.S. ავტორს მზად აქვს გამოსაცემად სათამაშო ბიზნესის წიგნი და ეძებს სპონსორს. მსურველები გამოეხმაურეთ: 39-55-34.

სიტყვა საქმიანი

სპორტული მედიცინა საქმით გვიბრუნდება

როგორც ადრე ვიუწყებოდით, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია (პრეზიდენტი გია აბესაძე) წლეულს პირველად შეაღო სპორტული მედიცინის მსოფლიო ასოციაციის (FIMS) კარი. ეს ორგანიზაცია 1928 წლიდან არსებობს და მისი წევრობა ყველა ქვეყნისთვის საპატიოა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ასოციაცია წარდგენილ იყო საბერძნეთისა და ისრაელის ასოციაციებთან ერთად, მაგრამ ამჯერად, პირველსავე ცდაზე, მომლოდინე წევრის პატივი ხვდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ორგანიზაციას. გაისად, დეკემბერში FIMS-ი საქართველოს ნამდვილ წევრად მიღების საკითხზე იმსჯელებს.

ამ და სხვა საკითხებზე გააკეთა ინფორმაცია საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომაზე გია აბესაძემ. სხვა საკითხებიდან კი განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის, რომ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით ამიერიდან ეროვნული ნაკრები გუნდები უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო მომსახურებით. გია აბესაძის მცდელობითაა, რომ ჩვენი რჩეული სპორტსმენების უმრავლესობა უფასო მომსახურებას გაივლიან შს სამინისტროს კეთილმოწყობილ და შესანიშნავად აღჭურვილ პოლიკლინიკაში. მომსახურებაში იგულისხმება, როგორც უფასო გამოკვლევა ისე, ზოგიერთი სპორტსმენისთვის უფასო მკურნალობა.

გადაწყდა, რომ იმ სპორტსმენებისთვის, რომლებმაც უკვე მოიპოვეს მოახლოებული ოლიმპიური თამაშების ლიცენზია, შემუშავდება სამედიცინო უზრუნველყოფის სპეციალური გეგმა, რომლის მიზანია ოლიმპიელთა ფიზიკური განვითარების, შრომისუნარიანობისა და ფუნქციური მდგომარეობის დადგენა, შესაბამისად მათი ამაღლებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიმართებით ორგანიზაციულ საკითხებზე გია აბესაძის საერთო ხელმძღვანელობით იმუშავებენ ცნობილი სპეციალისტები მამუკა ვირუბოვი, რომანოზ სვანიშვილი და დიმიტრი წვერავა. სხდომაზე აშკარად გამოიკვეთა აზრი, რომ ფაქტობრივად ჩვენში თავიდან იწყება სპორტული მედიცინის იმ ტრადიციების აღდგენა, რომელიც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მივიწყებული იყო.

ნინო აფაქიძე,
საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი

გაუმარჯოს კობას! - ხმამაღლა აცხადებს გიორგი კანდელაკი

(პირველი გვერდიდან)

გრამ თუნდაც არასათანადო ფორმაში მყოფი ტაისონი უთუოდ მოუგებს. ისე, კარგი ბიჭია, როგორც სპარინგპარტნიორი საუკეთესოა, მაგრამ სატაისონოდ ჯერ არ არის მზად" — თავდაჯერებით ამბობს კანდელაკი.

ჯულიო ფრენსისს წაგებული 7 შეხვედრიდან ხორვატ ჟელკო მავროვიჩთან და უკრაინელ ვიქტორ კლიჩკოსთან დაუთმია. ეს ის მავროვიჩია, ლენოქს ლუისმა, კანდელაკის თანაკლუბელმა და მეგობარმა რომ სცემა შარშან, ხოლო კლიჩკო ერთხანს კანდელაკსაც ეტოქებოდა, მაგრამ მათი შეხვედრა ვერ მოხერხდა. ახლა კლიჩკო ევროპის ჩემპიონია პროფესიონალთა შორის, ხოლო ჯულიო ფრენსისი ევროპელ პროფესიონალ მოკრივეთა ათეულს უდგას სათავეში — სარეიტინგო ქულებით ყველა ევროპელი პროფესიონალ მოკრივეს სჯობს.

გიორგი კანდელაკის გეგმებს რაც შეეხება, შობა-ახალ წელს შინ, ვარიანში შეხვდება. 8 იანვარს კი ინგლისს გაემგზავრება და მორიგი მე-14 სარეიტინგო ბრძოლისთვის მოემზადება. სავარაუდოა, ეს ორთაბრძოლა ლონდონში, 12 თებერვალს გაიმართოს. კანდელაკის მომავალი მეტოქე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უცნობია.

ჯაბა ლევანიშვილი

კალათბურთი • ასოციაციის პირველობა

ლიდერობენ მომავალი მედიკოსები

რობერტ ბაგოთიანის ფოტო

მეოთხედ იმართება საქართველოს სტუდენტური კალათბურთის ასოციაციის პირველობა. გუნდები განაწილდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ დივიზიონად. აღმოსავლეთ დივიზიონში პირველი წრის შედეგებით ლიდერობს სამედიცინო აკადემია, მეორე ადგილზეა ტექნიკური უნივერსიტეტის, მესამეზე — სოხუმის წარმომადგენლები. შეგახსენებთ, რომ პირველ გათამაშებაში გაიმარჯვა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, ხოლო ორ მომდევნოში — ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებმა.

დასავლეთ დივიზიონში ტურნირი გრძელდება. შეჯიბრება დამთავრდება გაისად, მაისში, რის შემდეგ დაკომპლექტდება სტუდენტური კალათბურთის ნაკრები.

რობერტ ყარსელი

სურათზე: მედიკოსთა გუნდის ფარს უტევენ ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელები.

ფეხბურთი ● „სპორტული საქართველოს“ თასის ფინალი

ემზარ ბედინეიშვილი მოჭიდავე რომ არ იყოს, დიდი ფეხბურთელი იქნებოდა

ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია რომ ისე ზრუნავდეს სპორტის მასობრიობაზე, როგორც ეს არცთუ სტაჟიანმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „სპორტულმა საქართველომ“ გააკეთა, ბევრ პრობლემას მოევლებოდა. მაგალითი სხვებისთვის ალბათ მაინც გაპოლიტიკოსებულ სპორტულ სამყაროს უნდა მიეცა დანარჩენებისთვის და ასეც მოხდა. მინიფეხბურთელთა ასპარეზობამ, რომელიც „სპორტულმა საქართველომ“ დაამკვიდრა, ფაქტობრივად მთელი საქართველო მოიცვა. რაც მთავარია, ეს არ ყოფილა „ეპიზოდური გაელვება“, როცა შეჯიბრება მხოლოდ რამდენიმე დღეში მთავრდება. ხსენებული ტურნირი მთელი 8 თვე მიმდინარეობდა, რაც თავისთავად უნიკალური მოვლენაა და ორგანიზატორებს მადლობის მეტი რა ეთქმით.

ამ დღეებში დასრულდა ტურნირის ფინალური ეტაპი. მთავარი პრიზისთვის დავა „ვაკე“ – „ფალავანის“ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ვაკელებმა მატჩი ალმავლობით ჩაატარეს და ღირსეული წარმატებაც მოიპოვეს გაიმარჯვეს რა 4-2. ამ მატჩში გამარჯვებულთაგან 3 გოლი კოკა ბიბილეიშვილმა გაიტანა. მეტოქეთაგან კი მოწინააღმდეგის კარი ორივეჯერ ცნობილმა ფალავანმა ემზარ ბედინეიშვილმა დალაშქრა. ემზარის ეფექტური თამაშით გაოცებული დარჩა მაყურებელი და, როცა ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას, ხშირად გაიგონებდით ასეთ ფრაზას: „ემზარი თავიდანვე რომ ფეხბურთს გაჰყოლოდა, უთუოდ სახელოვანი მოთამაშე გახდებოდა“. „ნაძალადევმა“ მესამე ადგილისათვის პაექრობაში 2-0 დაამარცხა „მილან-ავლაბრის“ ნაკრები.

გამარჯვებულ გუნდს მთავარ პრიზთან ერთად გდაეცა 1500 ლარი, მეორე ადგილზე გასულს – 1000, მესამე პრიზიორს – 500. გულდაწყვეტილ ორგანიზატორებმა და სპონსორებმა არც მეოთხე ადგილზე გასული გუნდი დატოვეს და საახალწლოდ ფირმა „მაესტროს“ საჩუქარი – მთელი ყუთი შამპანური გადასცეს.

ცოტნე ბაქრაძე

აჭარის ჰოკეისტები მესამე ადგილზე

ნინო აბაშიძე ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს

მოსკოვის ოლქის ქალაქ ელექტროსტალში დიდი ინტერესი გამოიწვია ალბერტ ლეიკინის სახელობის საერთაშორისო ტურნირმა ბალახის ჰოკეიში ქალთა და ვაჟთა შორის. ტურნირზე სხვებთან ერთად, ასპარეზობდა აჭარის გოგონათა ნაკრები (პრეზიდენტი აჭარის კავშირგაბმულობის და ფოსტის მინისტრი ნოდარ თამაზაშვილი). ეს შეჯიბრება აჭარელი ქალიშვილებისათვის ერთგვარი ძალთა შემოწმება იყო მომავალი ევროპის საკლუბო გუნდების ჩემპიონატის წინ, რომელიც რომში გაიმართება მომავალი წლის 25-28 თებერვალს.

ქალთა ოთხი გუნდი ორ წრედ იბრძოდა. პირველი შეხვედრა ბათუმელმა სპორტსმენებმა დათმეს მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან — 5:9. შემდეგ ფრედ (7:7) ითამაშეს მინსკის „ვიქტორიასთან“ და კრასნოდარის მხარის ქალაქ კრიმსკის „იოდთან“ (6:6).

მეორე წრეში შავიზღვისპირელმა ჰოკეისტებმა მოსკოვის და მინსკის გუნდებთან წააგეს (6:9, 5:8), კრიმსკის გუნდს კი მოუგეს 9:7.

12 ქულით I ადგილი და ბროლის თასი მოიპოვა მოსკოვის გუნდმა, 9 ქულით მეორე იყო — ბელორუსიის გუნდი. 5 ქულით მესამე ადგილი წილად ხვდა აჭარის გუნდს (მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ ბარამიძე, გუნდის უფროსი ნოდარ შანიძე).

საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ბათუმელ ნინო აბაშიძეს, რომელმაც ხუთი 7-მეტრიანი მოიგერია.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ საკუთარი
კორესპონდენტი.

ბენდელას თასი – „ბენდელას“!

(პირველი გვერდიდან)

საუკეთესო ფორვარდი – გიორგი მიქაძე („თბილისი“)

ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი – გიორგი ანჩაბაძე („ბენდელა“)

ულამაზესი გოლის ავტორი – გოჩა ჯამარაული („ბენდელა“)

ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშეები – გიორგი ანჩაბაძე და ლევან ბერიშვილი.

საუკეთესო ბომბარდირი გახდა გიორგი დემეტრაძე (19 გოლი), მასვე გადაეცა საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი

ფეხბურთში ჭაბუკთა შორის საქართველოს 1999-2000 წლების ჩემპიონატი გივი ჩოხელის პრიზზე, 1982-1983 წლებში დაბადებულთათვის

I ეტაპი ● დასავლეთის ზონა ● „ბ“ ჯგუფი

№	გუნდები	1	2	3	4	5	6	7	8	9	ბ.	ქ.	ადგ.
1.	ხობი	⚽	0-0	1-0	1-2	2-2	3-1	1-2	2-3	3-1	13-11	11	3
2.	ქობულეთი	0-0	⚽	1-1	2-2	2-1	1-0	2-0	3-2	3-1	14-7	18	2
3.	განათლება(ქუთ.)	0-1	1-1	⚽	0-1	0-1	2-2	2-0	5-0	1-1	11-7	9	6
4.	დინამო (ბთ.)	2-1	2-2	1-0	⚽	4-1	3-0	3-1	0-0	3-0	16-7	20	1
5.	კოლხეთი (ფთ.)	2-2	1-2	1-0	1-4	⚽	2-0	1-1	3-0	0-0	11-10	9	5
6.	მეგრი (ზუგდ.)	1-3	0-1	2-2	0-3	0-2	⚽	2-1	5-4	2-1	12-17	10	4
7.	კოლხიდა-98(ქუთ.)	2-1	0-2	0-2	1-3	1-1	1-2	⚽	4-1	2-5	13-15	7	7
8.	ლოკომოტ.(სამტ.)	3-2	2-3	0-5	0-0	0-3	4-5	1-4	⚽	2-1	12-23	7	8
9.	ჩაქუხა	1-3	1-3	1-1	0-3	0-0	1-2	5-2	1-2	⚽	10-16	5	9

ძველით ახალ წელს

ვალტერ გუჩუა რომ თბილისის „დინამოდან“ თურქულ „ინსტანბულსფორში“ გადავიდა, კარგა ხნით ადრე გაუწყეთ, მაგრამ „გუჩი“ (როგორც მას იოჰან ბოსკამპი ეძახდა) ჯერაც თბილისშია – ტრავმას იშუშებს და როგორც თვით ფეხბურთელი ვარაუდობს, იანვრის შუა რიცხვებისთვის ნაღდად გამოჯანმრთელდება და ახალ კლუბსაც მიაშურებს.

კონტრაქტში სტიქია ჩაერია

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ ექს-ნახევარმცველ ვ. გერაშჩენკოსათვის თარსად დამთავრდა თურქეთის კლუბ „ქაჯაელოსპორში“ მიწვევა. ბელორუსიის ეროვნული ნაკრების წევრმა გუნდთან ერთად ივარჯიშა. ითამაშა კიდეც ამხანაგური მატჩი და სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ სამედიცინო კომისიის შემდეგ, როცა საქმეს თავი უნდა დადგომოდა და მხარეებს კონტრაქტზე ხელი მოეწერათ, უცებ... მიწა იძრა. თურქეთის ბუნების სტიქიით შეშინებულმა ფეხბურთელმა ბოლოს და ბოლოს უარი თქვა კონტრაქტის ხელმოწერაზე და მოსკოვის ცსკას მიწვევაზე განაცხადა თანხმობა.

„რაინდული საქართველოვ, აღსდექ!“

მთიელთა საბრძოლო სტილი: „ჭრობის“ („ცვეთა-ფარების“) ტექნიკა და ტაქტიკა

ახლა შეიძლება განვიხილოთ ჩვენი საბრძოლო ხელოვნების საგანძურის ერთ-ერთი უნიკალური სისტემა – ქართული ფარიკაობის – ხევსურული „ჭრობის“ (ცვეთა-ფარების“) ილეთთა ტექნიკა და ტაქტიკა.

როგორ უჭირავთ ხევსურებს ფარხმალი?

ხევსურული ფარიკაობისათვის დამახასიათებელია ორივე ხელის მტევნების მუდმივი ერთად ჭერა ანუ „ნაცვალგებით ჭერა“ მარჯვენა ხელში ხმლისა და მარცხენა ხელში – ფარის, თანაც ორივე ხელი ერთად მოძრაობს ურთიერთშეთანხმებულად. მსგავსი ფარ-ხმლის დაჭერა მსოფლიოში არ არსებობს, და შეიძლება მას თამამად „ხევსურული ნაცვალგებითი ჭერა“ ვუწოდოთ. ეს უნიკალური დაჭერა რომ გაუჩნდეთ, ვთქვათ, იაპონელებს (იაპონელ სამურაებს), მაშინ მსოფლიოში იაპონურ „კენ-დოს“ (მახვილის ფლობის ხელოვნება, გზა), ყველა მიმდევარი იმ წუთშივე გაიცნობდა მას და, რასაკვირველია, იაპონური სახელწოდებით. იაპონელებმა ხევსურული ფარიკაობის ხელოვნებამდე ჯერ ვერ მიაღწიეს, თორემ მას, მაგალითად, „მოროტე – კატატე-დორის“ ანუ „ორი ხელით ორმაგ დაჭერას“ მიაწებებდნენ და გაქრებოდა ჩვენი ხევსურული ნაცვალგებითი ჭერაც.

ორი ათეული წლის პრაქტიკა იაპონურ საბრძოლო ხელოვნებებში „კარატე-დოსა“ და „კენ-დოში“ და ამ ხელოვნებების დიდ მასწავლებლებთან ურთიერთობა უფლებას მაძლევს შევადარო და შევაფასო ქართული და იაპონური ფარიკაობის სისტემები.

ხევსურული ფარიკაობა „ჭრობა“ (ჭრა-ჭრილობა), თავისი ფარ-ხმალის ხმარებით, ხერხით, ტექნიკური ილეთებით, ტაქტიკითა და საბრძოლო სიძლიერით – ერთადერთი და განუმეორებელი ფენომენია მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებების სისტემებში. იგი არ წააგავს არამარტო იაპონურ „კენ-დოს“, ჩინურ „ციან-შუს“ (ჩინური მახვილის ფლობის ხელოვნება), არც სხვა ცნობილ და აღიარებულ სისტემებს, არამედ მას გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა და პეწი. არ ჩამოუვარდება არც საბრძოლო გამოყენებითი კუთხით. ქართველ კაცს არ სჭირდება ჩვენთვის უცხო და ჩვენს გენეტიკაში არარსებულ სისტემათა დაუფლება, მუხლმოდრეკილი იაპონურ ტატამზე ყოფნა ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობ, უცხო იაპონურ საბრძოლო ხელოვნებათა კენ-დოს მასწავლებლების მიმართ უსასრულოდ თავის ქნევა, ენის ტეხვით ბოლომდე გაუგებარი იაპონური სახელწოდებების წარმოთქმა და ბოლოს, ქართველებს არაფერი აქვთ სახვეწი, იაპონელი კენ-დოს და, როგორც უკვე თანდათან ვრწმუნდებით – არა მარტო კენ-დოსი, ოსტატებთან.

აქ საკმარისია გავიხსენოთ გერმანიის ქალაქ რიეზაში სულ ახლახან სუმოში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი ფაქტიც. როგორც გვახსოვს, სუმო, და ასევე კენ-დოც, წარმოადგენენ იაპონელების ერთ-ერთ უძველეს, ტრადიციულ და ყველაზე საყვარელ, სათაყვანებელ ეროვნულ საბრძოლო ხელოვნებების სახეობებს (და სუმო, იაპონელთა დიდი მცდელობების შემდეგ გახდა ასევე ოლიმპიურ სპორტის სახეობად!); ხოლო კარატე-დო არც ისეა პოპულარული, რადგანაც იგი ოკინავური საბრძოლო ხელოვნებაა და მასში ჩემპიონატების დროს მაყურებლით დარბაზის მესამედი თუ ივსება ხოლმე. აი, ზემოხსენებული ფაქტიც: სამოყვარულო სუმოში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში იაპონელთა ჰეგემონიას პირველმა ქართველმა ფალავანმა ლევან ებანოიძემ შეუყენა წყალი, და მან მსოფლიოს სუმოს ყველა უძლეველ ოსტატს სძლია. მათ შორის იაპონიისა და აზიის მრავალგზის ჩემპიონს ტაკიზოუ ტირუცს.

„ძიუდოსი არ იყოს (შოთა ჩოჩიშვილის გაჩემპიონება ოლიმპიურ თამაშებში, 1972 წელი, მიუნხენი), სუმოშიც ქართველმა გამოსტაცა პირველმა ოქროს მედალი იაპონელებს ყველაზე პრესტიჟულ აბსოლუტურ წონაში, ჯერჯერობით, ყველაზე უმაღლეს ასპარეზობაში – მსოფლიოს ჩემპიონატში“ (თ. თომაშვილი, „ლელო“, №96, 1999 წ.).

როგორც ადრე ჩვენს სტატიებში ვამბობდით, ქართველებში ძევს ისეთი ამოუცნობი საბრძოლო ხელოვნებების ფენომენი, რომელსაც ვერ ხსნის სტრატეგიის კუთხით დეტალურად დამარცვლული და მეცნიერულად შესწავლილი იაპონური საბრძოლო ხელოვნება.

ასე რომ, ჩვენ გვაქვს ჩვენი ხორციელი ხელოვნება, ჩვენთვის მშვენივრად გასაგები და ადვილად სასწავლი სისტემა, ჩვენს გენეტიკაზე, წეს-ჩვეულებებზე აგებული და შექმნილი, უძველესი და უნიკალური – ქართული (ხევსურული) ფარიკაობა – „ჭრობა“.

დავუკვირდეთ, თუ რა ახლობელი და ადვილი შესასწავლია იგი ქართველი კაცისათვის; რა ადვილია მისი ტექნიკურ და ტაქტიკურ ილეთთა სახელწოდებების დამახსოვრება, იგი ხომ ქართულად წარმოითქმის და ჟღერს: ხოლო ჩვენი მასწავლებლების ან პედაგოგების, ჩვენი წინაპრების საპატივცემულოდ მუხლმოდრეკილმა შუბლი კი არ უნდა ვუტყაპუნოთ მიწას (იატაკს), არამედ პატარა თიხის თასით და ქართული ღვინოთი პატივი მივაგოთ მათ რაინდობას, მათ ხელოვნებას, მათ სიმამაცეს, მათ სიბრძნესა და ამავე დროს ჩვენს ერთიან სამშობლოს საქართველოს, და პირჯვარიც გადავიწეროთ ჩვენი ღმერთის სადიდებლად.



ხევსურული „ჭრობის“ საბრძოლო დგომების ვარიანტები

იური ყეინაშვილი,
საბრძოლო ხელოვნების ოსტატი.
სპეციალურად „ლელოსათვის“.
(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელოს“ წინა ნომრებში

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ბრაზილიელები კვლავ პირველნი არიან

ბრაზილიის ნაკრებმა წლის შედეგებით ზედიზედ მეექვსედ მოიპოვა პირველი ადგილი მსოფლიოს უძლიერესი გუნდების რეიტინგ-ლისტში.

1. ბრაზილია – 839 ქულა. 2. ჩეხეთი – 774. 3. საფრანგეთი – 765. 4. ესპანეთი – 753. 5. გერმანია – 739. 6. არგენტინა – 721. 7. ნორვეგია – 718. 8. რუმინეთი – 715. 9. ხორვატია – 713. 10. მექსიკა – 706.

12 იანვარს დაამტკიცებენ...

...უკრაინის ნაკრების ახალ მწვრთნელს, რომელიც იოჟეფ საბოს შეცვლის, როგორც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვიქტორ ბანიკოვმა განაცხადა, ეს კანდიდატურა ვალერი ლობანოვსკის უნდა შეუთანხმონ, რომელიც ქვეყნის ყველა ნაკრების საერთო ხელმძღვანელად ითვლება. ვინ იქნება ეს სპეციალისტი? ბანიკოვმა ამ კითხვაზე პასუხისაგან თავი შეიკავა.

გივი ნოდიას შეცვლის?

რუსული პრესის ცნობით, ცნობილი მწვრთნელი პაველ სადირინი, რომელიც ვერაფერს გახდა ყაზანის „რუბინში“, ვერ შეძლო მისი უმაღლეს დივიზიონში გადაყვანა, მშობლიურ სანქტ-პეტერბურგში დაბრუნდა.

ახლა, როგორც ფიქრობენ, სადირინი სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივს“ ჩაუდგება სათავეში, სადაც გივი ნოდია მუშაობდა.

62,5 მილიონი დოლარი რივალდოსათვის

რომის „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ განაცხადა, რომ იგი მზად არის „ბარსელონასაგან“ 120 მილიარდ ლირად (62,5 მილიონი დოლარი) შეიძინოს ევროპის №1 ფეხბურთელად აღიარებული ბრაზილიელი რივალდო.

ეს გაცილებით მეტია, ვიდრე იმავე „ლაციოს“ მიერ მილანის „ინტერისათვის“ 50 მილიონ დოლარად დათმობილი კრისტიან ვიერი. მოლაპარაკება „ლაციოსა“ და „ბარსელონას“ შორის უკვე ორი კვირაა მიმდინარეობს, მაგრამ მან სხვაგვარი შეფერილობა შეიძინა „ბარსელონას“ მწვრთნელ ლუის ვან გაალისა და რივალდოს უთანხმოების ფაქტის გამომჟღავნების შემდეგ.

მოკლედ...

- **მადრიდის „რეალმა“ 24 მილიონ დოლარად მიჰყიდა 23 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი მილანის „ინტერს“.**
- **იუგოსლავიელი** მცველი სინიშა **მიხაილოვიჩი, რომელიც რომის „ლაციოში“ გამოდის, სამშობლოში წლის სპორტსმენად დაასახელეს.**
- **ბუნდესლიგის „ჰამბურგის“ არგენტინელმა ფორვარდმა კარდოსომ** უარი თქვა **სხვა კლუბების შემოთავაზებაზე და გააგრძელა კონტრაქტი** კლუბთან.

ფეხბურთი თითების ანაბეჭდის გარეშე!

ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანსა და აშშ-ს შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ სპორტიც მოიცვა და იმ პერიოდიდან მოყოლებული არც ერთი ირანული გუნდი ამერიკაში არ მიუწვევიათ. ბოლო წლებში ორივე მხარე შეეცადა როგორღაც ჩატეხილი ხიდის აღდგენას. მაგალითად, ამერიკელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი შესთავაზეს ირანელთა საფეხბურთო ნაკრებს, მაგრამ მოლაპარაკება ჩიხში შევიდა ზოგიერთი ნიუანსის გამო. განსაკუთრებული პრეტენზია ირანელებმა გამოთქვეს მიწვეულ ქვეყანაში შესვლისას თითების ანაბეჭდების აღების საწინააღმდეგოდ. ახლა გავრცელდა ცნობა, რომ ამერიკელებმა დათმეს – აზიელებს ასეთ პროცედურას აღარ ჩაუტარებენ. როგორც ჩანს, თუ კიდევ რაიმე არ გახდა საჭიროებული, აშშ-ირანის საფეხბურთო მატჩი შედგება. არ დაგავიწყდეთ, ამერიკელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ტურნირში ირანელებთან დამარცხების რევანში სწყურიათ. სპორტი არაერთხელ ქცეულა ქვეყნებს შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენის საწინდრად. ირან-აშშ-ს დიპლომატები ალბათ ამასაც ითვალისწინებენ.

როგორმე რომ გამოასწოროს ბიუჯეტის მდგომარეობა ამოდენა თანხის დახარჯვის შემდეგ, სერჯიო კრანიოტიმ ახლა სხვადასხვა მოლაპარაკებას მიმართა. კერძოდ, იგი თანახმაა ტურინის „იუვენტუსს“ 50 მილიარდ ლირად (26 მილიონი დოლარი) დაუთმოს ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი, რახან რომაულ კლუბს კიდევ ჰყავს მაღალი კლასის ფორვარდები (ბოკშიჩი, მანჩინი და სიმონე ინძაგი).

„ანჟი“ თურქეთში მოემზადება

რუსეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბი „ანჟი“ (მახაჩყალა) წინასასეზონო მზადებას თურქეთში გაივლის.

როგორც მთავარმა მწვრთნელმა ჰაჯი ჰაჯიევმა განაცხადა, შარშანდელი მოთამაშეებიდან („ანჟიში“ გამოდის ქართველი ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილი), კლუბი არავის დატოვებია. არც ახალ მოთამაშეებთან (ისინი კლუბში მრავლად არიან) გაფორმებულა ჯერჯერობით კონტრაქტი.

პირველი, მეორე, მესამე

მოლდავეთის საუკეთესო ფეხბურთელად 1999 წლის სეზონის მიხედვით აღიარებულია თურქეთის „სამსუნსპორში“ მოთამაშე სერგეი ეპურიანუ. იგი ჩაითვალა მოლდავეთის ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველადაც. მეორე ადგილზეა ხაიფას „მაკაბიში“ მოთამაშე თავდამსხმელი სერგეი კლეშჩენკო, მესამე – მოსკოვის ცსკას ნახევარმცველი ოლეგ შიშკინი.

აბრამიანი – წლის ფეხბურთელი

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მწვრთნელებს და ჟურნალისტებს შორის ჩაატარა გამოკითხვა.

გაიმარჯვა ერევნის „არარატისა“ და სომხეთის ნაკრების მეკარემ არუთინ აბრამიანმა.

რივალდოს ტყუილად აწყენინა

„ბარსელონას“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა აღიარა, რომ „რაიო ვალეკანოსთან“ მატჩში (1-1) ძალიან აკლდა „ოქროს ბურთის“ მფლობელი რივალდო, რომელთანაც წინა დღეებში უკმაყოფილება მოუვიდა.

მატჩის უკანასკნელ წუთზე დაინიშნა პენალტი მადრიდელთა კარში. რახან „შტატიანი პენალტისტი“ რივალდო მატჩში არ მონაწილეობდა, დარტყმის შესრულება დაევალა ლუიშ ფიგუს, რომელმაც ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. ამის შემდეგ ვან გაალმა თქვა: „საწყენია. რივალდო ყოველთვის ზუსტად ურტყამს პენალტს. ამ თამაშში რამდენიმეჯერ გავიხსენე იგი. გასაგებია, ის ხომ დიდი ფეხბურთელია“...

არც აშკარა ფავორიტებია, არც აშკარა მაჩანჩალები

ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ესპანეთის ჩემპიონატში ახლა 5 იანვრამდე შესვენებაა. ჯერ პირველი წრეც კი არ დამთავრებულა, თუმცა მიმომხილველები ბევრს წერენ რამდენიმე საინტერესო ფაქტორზე, რომელმაც შეიძლება პირველობის მსვლელობაზე იმოქმედოს.

პირველი გახლავთ საკმაოდ არასტაბილური მდგომარეობა, რომელიც ჩემპიონ „ბარსელონაში“ შეიქმნა. ეს გახლავთ რთული ურთიერთობა, ერთის მხრივ, მწვრთნელ ლუის ვან გაალსა და წამყვან ფეხბურთელ რივალდოს შორის, მეორეს მხრივ კი აშკარა მტრობა, რომელიც რივალდოს აგენტ მინგელიასა და „ბარსელონას“ პრეზიდენტ ნუნიესს აქვთ. ისინი ერთმანეთს კარგა ხანია ხმას არა სცემენ და აუცილებელი ურთიერთობისთვის კი ფაქსს იყენებენ.

რივალდო „ბარსელონაში“ 1997 წელს „დეპორტივოდან“ ორი წლით 25 მილიონ დოლარად გადავიდა. ზაფხულში კონტრაქტის ვადა ამოიწურა, ამასობაში კი ნუნიესისა და მინგელიას ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. მართალია, ბრაზილიელთან ახალი ხელშეკრულება 2003 წლამდე არის გაფორმებული, მაგრამ საეჭვოა რივალდო „ბარსელონაში“ დიდხანს დარჩეს. მას არ მოსწონს ისიც, რომ მწვრთნელი ცდილობს იგი ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე განაწესოს, მაშინ, როცა რივალდოს თავი ცენტრალურ ნახევარმცველად მიაჩნია.

ერთი სიტყვით, „ბარსელონა“ აღარ არის ის სინქრონული კოლექტივი, რომელიც ადრე მატჩს მატჩზე იგებდა. რა თქმა უნდა, უჩვეულოა მისი 6 (!) წაგებაც.

თითქმის ქაოსური ვითარება იყო მადრიდის „რეალშიც“, რომელიც ჯონ ტოშაკის დროს ზედიზედ აგებდა, და, მდგომარეობა დიდად არც მისი მოხსნის შემდეგ გამოსწორებულა. ახლა მას დროებითი მთავარი მწვრთნელი ვინსენტ დელ ბოსკე უძღვება. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე ცნობილ სპეციალისტთან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ჩქარობს ხელშეკრულების გაფორმებას, თითქოს არავის უნდა საქმის დაჭერა სახედაკარგულ კლუბთან.

კიდევ ერთი რამ: „ვალენსიის“ გულშემატკივრებს ახალი მწვრთნელის, ცნობილ არგენტინელ სპეციალისტ ჰექტორ კუპერის იმედი ჰქონდათ, მაგრამ დასაწყისში ისე მოხდა, რომ ჩემპიონატში ერთ მარცხს მეორე მოჰყვა. ეს მაშინ, როცა გუნდს მშვენიერი შემადგენლობა ჰყავს. მართალია, თავიდანვე იმედს ის იძლეოდა, რომ „ვალენსია“ წარმატებით თამაშობდა ჩემპიონთა ლიგაში. გამოცდილმა კუპერმა ესპანეთის პირველობაზეც გამოასწორა საქმე.

ახლა 17 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს, შეიძლება ითქვას, არც გამოკვეთილი ლიდერები ჰყავს და არც აშკარა მაჩანჩალები. ყოველ ტურს შეუძლია ვითარების შეცვლა.

„ლა-კორუნიამ“ კი მოიგო ზედიზედ 7 შეხვედრა, მაგრამ XVII ტურში „სარაგოსამ“ შეძლო მისი შეჩერება – 2-1. საქმე მარტო ამ შეხვედრის წაგებაში არ იყო. გალისიელებმა „სარაგოსას“ ვერ წაუყენეს დამაჯერებელი არგუმენტები. მართალია, „ლა-კორუნია“ 36 ქულით თითქოს დამაჯერებლად ლიდერობს და დღეისათვის მთელი 6 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „სარაგოსას“, მაგრამ ესპანელი მიმომხილველები კლუბის წარმატებას მაინც დროებითად მიიჩნევენ და ვარაუდობენ, რომ უახლოეს ხანებში მას შეიძლება რამდენიმე კლუბი წამოეწიოს. ისე რომ, „ლა-კორუნიას“ მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ თავისი წამყვანი მდგომარეობის შესანარჩუნებლად საგანგებო ზომები უნდა მიიღოს. 5 იანვარს ლიდერი იღებს „რასინგს“ (აქ თამაშობენ რუსი ფეხბურთელები ბესჩასტნიხი და შუსტიკოვი, აგრეთვე „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი ამავისკა), რომელიც ცდილობს როგორმე დაშორდეს აუტსაიდერთა რიგებს.

„ლა-კორუნიას“ მარცხმა თითქოს კარგი შესაძლებლობები შეუქმნა შინ, სტადიონ „ბალაიდოსზე“ მოთამაშე „სელტას“ (ვიგო), მაგრამ მან საკმაოდ მოულოდნელად წააგო „მალაგასთან“. დიდხანს ანგარიში იყო 2-2, მაგრამ მატჩის მიწურულში სტუმართა სნაიპერმა კატანიამ (რომელმაც ადრე გახსნა ანგარიში) 86-ე და 89-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა და „მალაგამ“ მოიგო – 4-2. ამის შემდეგ „სელტა“ 28 ქულით მესამე ადგილზე გადავიდა. ახლა, 5 იანვარს მეორე ადგილზე მყოფი „სარაგოსა“ სტუმრად ითამაშებს „მალაგასთან“, ხოლო „სელტა“ ასევე სტუმრად „ვალენსიასთან“.

„ბარსელონა“ 27 ქულით მეოთხე ადგილზეა. ელიან, რომ ლუის ვან გაალი შინ მომდევნო შეხვედრაში „ნოუ კამპზე“ სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადთან“ ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებს (?!) რივალდოს. დღეისათვის კატალონიელებმა ყველაზე მეტი გოლი (36) გაიტანეს, მაგრამ დაცვა შეცდომებით თამაშობს (26 გაშვებული ბურთი). კარს ბოლო ხანებში რუუდ ჰესპის ნაცვლად ახალგაზრდა ფრანსისკო არნაუ იცავს. კვლავინდებურად ლიდერთა ჯგუფშია დებიუტანტი, მადრიდის „რაიო ვალეკანო“, რომელიც პატარა სტადიონ „ტერესა რივეროზე“ თამაშობს და 10 ათასი მაყურებელი თუ ჰყავს. იგი 26 ქულით მეხუთეა, მრისხანე „ვალენსია“ კი 25 ქულით – მეექვსე.

რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა მადრიდის „რეალმა“ რომელმაც ზედიზედ ორი მოგების შემდეგ 23 ქულა მოაგროვა და მე-18 (!) ადგილიდან მეცხრეზე გადაინაცვლა. უკვე აღნიშნული მოვლენების გამო მიმომხილველებს „რეალის“ გაბრძოლება ჩემპიონის წოდებისათვის, რომ იტყვიან, ფუჭ ოცნებად მიაჩნიათ, მაგრამ თუკი გუნდს რომელიმე ჩინებულმა სპეციალისტმა მოკიდა ხელი და მდგომარეობა გამოასწორა (ამას ზოგი სპეციალისტი „ორმოდან ამოყვანას“ ეძახის), მაშინ შესაძლებელი გახდება ოთხეულისათვის ბრძოლა, რაც გაისად ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლებას იძლევა. უარეს შემთხვევაში არც უეფას თასის საგზურის მოპოვება იქნება ურიგო. მომდევნო ტურში „რეალი“ სევილიის „ბეტისს“ მიიღებს და საშუალება ექნება კიდევ ცოტათი წაიწიოს წინ.

ჯერჯერობით უმძიმეს მდგომარეობაში არიან „სევილია“ (13 ქულა) და „ოვიედო“ (17), მათ სიახლოვეს – სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი“ და სანტანდერის „რასინგი“ (19-19 ქულა).

სნაიპერთა შორის პირველ ადგილზეა მილოშევიჩი („სარაგოსა“) – 17 გოლი, რომელსაც მისდევს სალვა („რასინგი“) – 16, ჰასელბაინკმა (მადრიდის „ატლეტიკო“) 15 გოლი გაიტანა.

გივი გამრეკელი

ეროვნული ჩემპიონატები

ინგლისი ● XIX ტური

საუთჰემპტონი – ჩელსი 1-2
გოლები: ფლო, 18 (0-1), ფლო, 43 (0-2), დევისი, 80 (1-2).

ტოტენჰემი – უოტფორდი 4-0
გოლები: ჯინოლა, 27. ივერსენი, 32, შერვუდი, 55. შერვუდი, 82.

უიმბლდონი – ვესტ ჰემი 2-2
გოლები: ჰრეიდარსონი, 32 (1-0), სინკლერი, 45 (1-1), ლემპარდი, 80 (1-2), ეირდლი, 85 (2-2).

დერბი – ასტონ ვილა 0-2
გოლები: ბოატენგი, 68. ტეილორი, 78.

ევერტონი – სანდერლენდი 5-0
გოლები: ჰატჩისონი, 16. ჰატჩისონი, 25. ჯეფერსი, 41. პემბრიჯი, 62. კემპბელი, 72.

ლიდსი – ლესტერი 2-1
გოლები: კოტი, 10 (0-1), ბრიჯისი, 29 (1-1). ბოუიერი, 45 (2-1).

მანჩესტერი – ბრედფორდი 4-0
გოლები: ფორჩუნი, 75. იორკი, 79. კოული, 87. კინი, 88.

ნიუკასლი – ლივერპული 2-2
გოლები: შირერი, 11 (1-0), ოუენი, 31 (1-1, ოუენი, 53 (1-2), ფერგიუსონი, 66 (2-2).

შეფილდი – მიდლსბრო 1-0
გოლი: ათერტონი, 28.

ქოვენთრი – არსენალი 3-2
გოლები: მაკალისტერი, 6 (1-0), ჰაჯი, 40 (2-0), ლუნგბერგი, 67 (2-1). კინი, 72 (3-1). შუკერი, 87 (3-2).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლიდსი	19	14	2	3	34-20	44
მანჩესტერი	18	13	3	2	48-23	42
სანდერლენდი	19	11	4	4	33-22	37
არსენალი	19	11	3	5	34-20	36
ლივერპული	19	10	4	5	28-16	34
ტოტენჰემი	18	9	3	6	30-22	30
ლესტერი	19	9	2	8	27-26	29
ევერტონი	19	7	6	6	33-28	27
ჩელსი	17	8	3	6	23-18	27
მიდლსბრო	19	8	3	8	23-26	27
ვესტ ჰემი	18	7	5	6	21-20	26
ასტონ ვილა	19	7	4	8	18-20	25
ქოვენთრი	19	6	6	7	26-22	24
უიმბლდონი	19	4	10	5	30-32	22
ნიუკასლი	19	5	5	9	30-34	20
საუთჰემპტონი	18	4	5	9	21-29	17
ბრედფორდი	18	4	4	10	15-29	16
დერბი	19	4	3	12	16-31	15
უოტფორდი	19	3	2	14	14-40	11
შეფილდი	18	2	3	13	16-42	9

ბუნდესლიგური კალეიდოსკოპი

- **ბუნდესლიგის** პირველი წრის საუკეთესო სნაიპერი გახდა ადელ სელიმი („ფრაიბურგი“) – 9 გოლი, ერთი გოლით ნაკლები გაიტანეს მარტინ მაქსმა („მიუნხენ-1860), მარკო ბოდემ (ბრემენის „ვერდერი“) და ულფ კირსტენმა (ლევერკუზენის „ბაიერი“).
- **ბოლო** ტურში **წარმატების შემდეგ ბუნდესლიგის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი სისტემით გოლი – საგოლე გადაცემა გახდა ადელ სელიმი – 15 ქულა, ქართველი ფეხბურთელების პარტნიორი „ფრაიბურგში“.**
- **ყველაზე** ნაკლები მხარდამჭერა ბუნდესლიგის კლუბებს შორის „უნტერჰაჰინგს“ ჰქონდა, რომლის საშინაო თამაშებზე საშუალოდ 8925 მაყურებელი დადიოდა. ეს გასაგებიც არის – კლუბის ბაზა მიუნხენის გარეუბანშია, ქალაქში, სადაც ორი ძლიერი გუნდია: „ბაიერნი“ და „მიუნხენ-1860“.
- **ბუნდესლიგაში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან მხოლოდ სამს აქვს ასზე მეტი გატანილი გოლი: ულფ კირსტენს (ლევერკუზენის „ბაიერი“) – 149, ლოთარ მათეუსს (მიუნხენის „ბაიერნი“) – 121 და ანდრეას მიოლერს (დორტმუნდის „ბორუსია“) – 103. მათ მიუახლოვდა ბილეფელდის „არმინიას“ თავდამსხმელი ბრუნო ლაბადია +95 გოლი.**
- **ამ** სეზონის დასაწყისამდე ტუნისის ნაკრების და „ფრაიბურგის“ მოთამაშე ადელ სელიმის ბუნდესლიგაში 30 მატჩი ჰქონდა ჩატარებული, სადაც გაიტანა... ერთი გოლი. ამ სეზონში მან 17 მატჩში ითამაშა და გაიტანა 9 გოლი.
- **ბუნდესლიგაში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან ყველაზე მძიმეა 101-კილოგრამიანი შტეფან ბრაზასი (ბრემენის „ვერდერი“). იგი ამავე დროს ლიგაში ყველაზე ტანმაღალი ფეხბურთელიცაა. ყველაზე მსუბუქი კი ბილეფელდის „არმინიას“ პოლონელი მოთამაშე ბარტოშ პარტიკაა, რომელიც სულ 61 კგ-ს იწონის.**
- **როგორც** ცნობილია, ბუნდესლიგის ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა 38 წლის ლოთარ მათეუსი (449 მატჩი). ნაკლებად არის ცნობილი, რომ „უნტერჰაჰინგის“ მოთამაშე პეტერ სირხი მასზე სულ 9 თვით ახალგაზრდაა. მაგრამ იგი რაიმე რეკორდს ვერ დაამყარებს, რადგან ბუნდესლიგაში პირველი სეზონია რაც თამაშობს.
- **ყველაზე** მეტი გაფრთხილება (10) „შალკე 04“-ის მცველ ნემეცს აქვს. 7 გაფრთხილება მიიღო ოსტჰოფმა („დუისბურგი“), 6-6 გაფრთხილება აქვთ ლევერკუზენის „ბაიერის“ თავდამსხმელებს ემერსონსა და კირსტენს.

იტალიის ფეხბურთი: გუშინ, დღეს, ხვალ...

პაოლო მალდინი, ანუ „ბედი უძლიერესებს სწყალობს“

მას „ყველაზე უფრო იტალიურ ფეხბურთელს“ უწოდებენ. რას ნიშნავს ეს ფრაზა? ჟურნალისტების აზრით, ყოველივე კარგს – შესანიშნავ ოსტატობას, ჩინებულ ფიზიკურ კონდიციას, საფეხბურთო აზროვნებას და გაწონასწორებულობას. რაც შეეხება ოსტატობას, საფეხბურთო ხელოვნებას, ამაში პაოლო მალდინი, სპეციალისტების აზრით, ტოლს არ დაუდებს არც ერთ მცველს ისტორიაში! რაც შეეხება ფიზიკურ კონდიციას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალ-ღონესა და სისწრაფეს იგი 31 წლის მალდინის ისეთი აქვს, რომ საყოველთაო აზრით, კიდევ მთელ ათ წელიწადს გასწვდება, და, ვერხოვოდი რომ ვერხოვოდია, ამ თვალსაზრისით, იმასაც გაასწრებს. ვინ „კითხულობს“ თამაშს პაოლოზე უკეთესად? მასზე უკეთ ვინ იცის, როდის უნდა შეუტიოს მეტოქეს, როდის გადავიდეს დაზღვევაზე და ჩაშალოს მეტოქის იერიში, როდის გაგზავნოს ზუსტი გადაცემა. იტალიელები, საერთოდ, როგორც ყველა სამხრეთელი ხალხი, ფიცხებია და ხშირად კარგავენ წონასწორობას „სერია A“-ში. მოთამაშეების მინდვრიდან გაძევება ჩვეულებრივი ამბავია, რასაც დისკვალიფიკაციაც მოჰყვება ხოლმე. მაგრამ ერთი გვიბრძანეთ, რამდენჯერ გაუძევებიათ პაოლო მალდინი, რამდენჯერ დაუსჯიათ? ეს არის უზადო ჯენტლმენი, იტალიური ფეხბურთის ნამდვილი სიამაყე. საერთოდ, „ტიფოზის“, ცხადია, ყველაზე მეტად თავდამსხმელები უყვარს, ისეთები, როგორიც ვთქვათ, პაოლო როსი ან ახლანდელი ვარსკვლავი ალესანდრო დელ პიერო. ამ თვალსაზრისით მალდინი უდავო გამონაკლისია. 16 სეზონია იგი პროფესიულ ფეხბურთშია, რა თქმა უნდა, აღმავლობას ზოგჯერ დროებითი მარცხიც მოჰყვებოდა, მაგრამ არა ყოფილა ნაკრებისა თუ კლუბის რომელიმე მწვრთნელი, პაოლო მალდინზე მაღლა ვინმე რომ დაეყენებინოს.

არიან ვარსკვლავები, კლუბებს რომ ხელთათმანებივით იცვლიან. პროფესიულ ფეხბურთში ეს, ეტყობა, გარდაუვალია, მაგრამ ზოგი მეტისმეტს აკეთებს და აქ უფრო ანგარება სჩანს. შორს რომ აღარ წავიდეთ, თუნდაც იგივე კრისტიან ვიერი ავიღოთ. „იუვენტუსი“, მადრიდის „ატლეტიკო“, „ლაციო“, მილანის „ინტერი“, კიდევ, კიდევ, ვინ იცის, რამდენი იქნება კიდევ... 16 წლის მალდინიმ კი როგორც დაიწყო თამაში „მილანში“ (პირველი მატჩი 1985 წელს გამართა „უდინეზეს“ წინააღმდეგ), დღესაც ამ კლუბის ერთგულია. ამ ხნის განმავლობაში „მილანი“ ექვსჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, სამჯერ კი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლა.

11 წლის წინათ შედგა პაოლო მალდინის დებიუტი იტალიის ნაკრებში, სადაც იგი შემდეგ უცვლელად თამაშობს, დებიუტი იუგოსლავიის ნაკრებთან ჰქონდა სპლიტში – 1-1. მისი პირველი მწვრთნელი „სკუადრა აძურაში“ აძელიო ვიჩინი იყო, რომელიც ჭაბუკს ყოველნაირად ამხნევებდა. 1988 წელს ევროპის ჩემპიონატში მალდინიმ სწორედ ვიჩინის ხელმძღვანელობით ითამაშა, 1990 წელს კი მსოფლიო პირველობაზე, იტალიაში, ნაკრები ნახევარფინალამდე მივიდა. ეს პაოლოს პირველი დიდი მიღწევა იყო.

1991 წლის ოქტომბერში იტალიელებმა ფრედ ითამაშეს მოსკოვში, რაც ვიჩინის პოსტის დატოვებად დაუჯდა. იგი უაღრესად ნიჭიერმა, მაგრამ ცვალებადი ხასიათის არიგო საკიმ შეცვალა. ოდესღაც საკის, რომელიც არასოდეს ყოფილა პროფესიონალი ფეხბურთელი, ფეხსაცმლის მაღაზია ჰქონდა და ხშირად ცვლიდა თუ ამრავალფეროვნებდა საქონელს. ძნელი სათქმელია, იქ დაეჩვია თუ არა, მაგრამ ახლა ნაკრებში მოთამაშეთა უჩვეულოდ ხშირი ცვლა დაიწყო. ერთი სიტყვით, დღეს ერთი კაცი თამაშობდა და ხვალ მეორე. ერთადერთი, ვისაც საკის „რეფორმები“ არ შეეხო, პაოლო მალდინი გახლდათ, ისე კი, ვერაფერი საქმეა, ყოველ მატჩში ახალ-ახალ პარტნიორებს უნდა „ეწყობოდე“. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, თუმცა ფინალური მატჩი ბრაზილიელებთან იტალიელებმა პენალტებით წააგეს, საკიმ დაიპყრო თავისი „მწვერვალი“. მეორე ადგილი მსოფლიოში, რა თქმა უნდა, მისი დიდი მიღწევა იყო. ასეთად ველარ ჩაითვლებოდა მონაწილეობა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატში, რომელიც იტალიელებმა ვადაზე ადრე დატოვეს.

1998 წელს საფრანგეთში „სკუადრა აძურას“ უკვე პაოლოს მამა, ჩეზარე მალდინი წვრთნიდა. ჩეზარემ სახელი ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობით გაითქვა, მაგრამ მსოფლიო პირველობის სიძნელეებმა დათრგუნა. პაოლო მამის ხელმძღვანელობით მატჩებს ცხადია, უცვლელად თამაშობდა, ისევე, როცა ნაკრებს სათავეში „დინო ნაციონალე“, ანუ „ერის კუთვნილება“ დინო ძოფი ჩაუდგა.

წლევანდელ 28 აპრილს მალდინიმ ნაკრებში თავისი მეასე მატჩი ითამაშა (0-0 ხორვატებთან). ამის შემდეგ ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდა. ახლა მიზნად ისახავს მოხსნას ნაკრებში გამოსვლის იტალიური რეკორდი, რომელიც სწორედ დინო ძოფს კუთვნის (112 მატჩი), შემდეგ კი სხვებს შეუტიოს. რომ პაოლო (103 მატჩი დღეისათვის) ძოფს უკან ჩამოიტოვებს, თითქოს არავის უნდა აეჭვებდეს. მსოფლიო რეკორდის (143 მატჩი) დაძლევა მეტისმეტად რთული პრობლემა იქნება, თუმცა ვინ იცის, ჩვენ ხომ მალდინისთან გვაქვს საქმე...

ამ ბოლო წლებში მალდინის „მილანში“ მაინცდამაინც არ ულხინდა ვიდრე კლუბს სათავეში ფაბიო კაპელო ედგა, იგი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, მაგრამ „მილანის“ პატრონმა, მულტიმილიონერმა და ტელემაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმ (იგი ადრე ქვეყნის პრემიერმინისტრი და პარტია „ფორცა იტალიას“ თავმჯომარეც იყო) მეტისმეტი მოინდომა: „მილანს“ არა მარტო უნდა მოეგო, არამედ გულშემატკივრები ლამაზი თამაშითაც უნდა გაეხარებინა. ერთი სიტყვით, კაპელო, რომელიც კლუბს ზედიზედ 5 სეზონს ხელმძღვანელობდა და ამ ხნის განმავლობაში 4 (!) სკუდეტო მოიპოვა (მხოლოდ ერთხელ, 1995 წელს იტალიის ჩემპიონობა „იუვენტუსს“ დაუთმო), შეეწირა „ზედმეტ რაციონალიზმს“. „მილანის“ უბედურებაც ამით დაიწყო. ურუგვაელ მწვრთნელ ოსვალდო ტაბარესის მმართველობის დროს გუნდის მექანიზმი მოიშალა. ისევ არიგო საკის უხმეს – ვერაფერს გახდა. ესპანეთიდან დაბრუნდა ფაბიო კაპელო, რომელმაც მადრიდის „რეალს“ ერთ წელიწადში ნანატრი ჩემპიონობა მოუტანა – ისიც ვერაფერს გახდა! ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში „მილანი“ უევროთასებოდ დარჩა. ასეთ არეულ-დარეულ გუნდში პაოლო მალდინი რას გახდებოდა. დაიკარგა „გამარჯვებულის ფსიქოლოგია“, გაქრა სათამაშო განწყობილება და სულისკვეთება.

ვინ გამოიყვანდა „მილანს“ კრიზისიდან? ბერლუსკონიმ, ვერ გეტყვით, ვისი რჩევით, არჩევანი „მაესტრო ზაკზე“ – ალბერტო ძაკერონიზე შეაჩერა. მას ჩემპიონობას არავინ სთხოვდა, მაგრამ იმდენი მაინც უნდა მოეხერხებინა, რომ გუნდი მეოთხე ადგილზე გაეყვანა. ეს „მილანს“, ამდენი მარცხის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლებას მისცემდა.

„მაესტრო ზაკმა“ კი წარმოუდგენელი რამ შეძლო – „მილანს“ ჩემპიონობა მოაპოვებინა. დიდი დავა იყო იმის შესახებ, ეს წარმატება კანონზომიერად უნდა ჩაეთვალათ თუ შემთხვევითად. დავა დღემდე გრძელდება, მით უმეტეს, რომ ამ შემოდგომაზე „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგაში ფიასკო განიცადა. ასეა თუ ისე, ძაკერონის მუშაობის შედეგებს არავინ უარყოფს, არც იმას, რომ მალდინიმ ადრინდელი მზადყოფნა დაიბრუნა და კვლავ შეადუღაბა დაცვა.

რომელ ადგილს დაიკავებს ამ ჩემპიონატში „მილანი“? ეს, ცხადია, არავინ იცის. ისე კი, თუ ოთხეულში არ მოხვდა, ეს უდავო მარცხად იქნება მიჩნეული. მალდინი ეროვნულ ჩემპიონატთან ერთად მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირისათვის მზადებითაც არის დაკავებული. დინო ძოფს, უნდა თუ არ უნდა, ნაკრებში დიდი ცვლილებები უნდა მოახდინოს, რადგან ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის შემდეგ (თუმცა პირველი ადგილი დაიკავა) ცხარე კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. მას არც დანიელებთან მარცხი აპატიეს, რომელმაც ფინალური საგზურის საკითხი სათუო გახადა, არც შემდეგ ბელგიელებთან ამხანაგური მატჩის წაგება. თუ იტალიის ნაკრებს ძლიერი მეკარეები და შედეგიანი თავდამსხმელები ჰყავს, გადასასინჯია ნახევარდაცვის ხაზი (იტალიელთა თითქმის ტრადიციული „აქილევსის ქუსლი“), და, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, დაცვის რგოლიც. აქ მხოლოდ ორი სანდო მოთამაშეა – ალესანდრო ნესტა და, როგორც იოლად მიხვდით, პაოლო მალდდინი.

ახლა პაოლო და მამამისი ჩეზარე კვლავ ერთად არიან. ჩეზარე მალდინის მსოფლიო პირველობაზე მარცხი დაივიწყეს. იგი „მილანის“ საკმაოდ ვრცელ სელექციონერთა ქსელს ხელმძღვანელობს და მთელ იტალიაში ეძებს ახალ.. პაოლო მალდინის! ვნახოთ, რამდენად ნაყოფიერი იქნება ეს ძიება. ამბობენ, რომ პაოლოს მსგავსი მცველი საუკუნეში ერთხელ იბადება. დიახ, მაგრამ ახალი საუკუნე ხომ სულ მალე დაიწყება!

ბივი გამრეკელი

ჯუზეპე სინიორი

წელი არ გავა, რომ იტალიაში ლეგიონერების დიდი ჯგუფი არ ჩავიდეს. აქ არიან სამხრეთამერიკელები, არიან ევროპელებიც. ზოგი მათ თამაშს იტალიის ლიგაში დადებით მოვლენად თვლის და „სისხლის გადასხმას“ ადარებს. ზოგი სხვა აზრისაა, ვარაუდობენ, რომ ეს „ვარსკვლავები“ ხელს უშლიან აპენინის ნახევარკუნძულზე იტალიელი ტალანტების დაწინაურებას. მომხრეები ორივე მხარეს ჰყავს. მაგრამ თუ „ვარსკვლავები“ მართლაც ხელისშემშლელები არიან, როგორ დაწინაურდა ამ ბოლო წლებში ამდენი იტალიელი ტალანტი?

ჯუზეპე სინიორი ერთი იმათგანია, ვინც წარმატებით დასძლია უცხოელების თუ უცხოეთში დაბადებული იტალიელების კონკურენცია. „ბეპემ“, როგორც ცნობილია, უკვე ხანგრძლივი გზა გაიარა. არა ყოფილა სეზონი, რომ თავი არ გამოეჩინა სინიორის.

რა არის საკვირველი: ბეპე არც აღნაგობით გამოირჩევა (171 სმ სიმაღლისაა), არც მაინცდამაინც დიდი სისწრაფით. აი, ერთი რამ ბავშვობიდანვე იცის (ან დაბადებიდანვე დაჰყვა), სად უნდა იყოს გადამწყვეტ მომენტში. შეუდარებელი სნაიპერი გერდ მიულერი ამბობდა, რომ კარის აღებისათვის საჭირო არ არის მაინცდამაინც რაღაც უძლიერესი დარტყმა. საჭიროა ბურთმა თუნდაც ოდნავ კარის ხაზი გადაკვეთოს. იმავე აზრისაა სინიორიც. სწორედ სინიორის გამო იყო, რომ იტალიის ფეხბურთის ისტორიაში პირველად მიიქცია ყურადღება პროვინციულმა „ფოჯამ“. ეს ის წლები იყო, როცა ჩეხმა სპეციალისტმა ზდენეკ ზემანმა (სახელი მან სწორედ იტალიაში გაითქვა) ამ ქალაქში მშვენიერი კლუბი შექმნა. იქ თამაშობდნენ ბაიანო და რამბაუდი, იქ გამოუვიდათ თამაში, სხვა კლუბებისაგან განსხვავებით, რუს ლეგიონერებსაც, კერძოდ, შალიმოვსა და კოლივანოვს. მთავარი მაინც სინიორი იყო, რომლის სნაიპერულმა ღირსებებმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, ასეთ ბომბარდირს „ფოჯაში“ რა უნდაო. მეორე მხრივ, რა უნდოდა „ფოჯაში“ ისეთ სპეციალისტს, როგორიც ზდენეკ ზემანია. ამიტომ, როცა იგი რომის „ლაციოში“ მიიწვიეს, პირველ რიგში, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ რომის კლუბთან სინიორის ხანგრძლივი ხელშეკრულებაც გააფორმა.

რა თქმა უნდა, სინიორიმ ნაკრების მწვრთნელ არიგო საკის ყურადღებაც მიიქცია. არავინ უარყოფს საკის დიდ ერუდიციას და მის დიდ აზირებულობასაც. მის დროს ნაკრებში ხან ერთი ფეხბურთელი გამოდიოდა, ხან მეორე. არ იყო ბირთვი. ამდენმა ექსპერიმენტმა საკი, ბოლოს და ბოლოს, დაღუპა კიდეც. პირველი, რაც მისმა შემცვლელმა ჯუზეპე მალდინიმ თქვა, სწორედ ეს იყო: „იტალიაში ნაკრებში გამოსვლის ღირსი 100 ფეხბურთელი, უბრალოდ, არ მოიძებნებაო“.

რაც შეეხება სინიორის, იგი საკიმ ნაკრებში კიდევაც კარგა ხნით გააჩერა. აქ სადავო სხვა რამ იყო: რატომ თამაშობდა ნაკრებში სინიორი, რომელმაც იტალიის ჩემპიონატში ამდენი გოლი გაიტანა, ესოდენ უკანდახეულმა? თითქოს ყველაფერი იმას გვიკარნახებდა, რომ ბეპე, სწორედ წინ უნდა ყოფილიყო წაწეული, მაგრამ, რახან საკი ფეხბურთელებს „პროკრუსტეს სარეცელში“ აწვენდა, მკაცრ სქემებში ათავსებდა და სხვანაირად ტაქტიკის აგებაც კი ვერ წარმოედგინა. სინიორი, ალბათ, კმაყოფილი დარჩა, როცა ამ უცნაურ კაცს თავი დააღწია, „ლაციოში“ კი ისეთნაირად თამაშის საშუალება მიეცა, როგორც თვითონ სურდა.

„ლაციოს“ თავისებური დუეტი წარმართავდა: კლუბის პრეზიდენტი დინო ძოფი (ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი) და მწვრთნელი ზდენეკ ზემანი ამასთან, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ძოფი, რომელსაც თვით ჰქონდა მწვრთნელობის დიდი გამოცდილება, მხოლოდ პრეზიდენტის ფუნქციის შესრულებით კმაყოფილდებოდა. დროდადრო, როცა ამის საშუალება მიეცემოდა, იგი ზემანს მკაცრად შეუტევდა ხოლმე. პრეზიდენტსა და მწვრთნელს მხოლოდ ერთ საკითხში არ მოსდიოდათ კამათი: ლიდერის კვერთხი მხოლოდ სინიორის ეკუთვნის.

სინიორიმ „ლაციოში“ პირველივე სეზონში მიიქცია ყურადღება. მანამდე, კლუბის შემადგენლობაში ერთ სეზონში გატანილი გოლების რეკორდი განთქმულ ჯორჯო კანალიას ეკუთვნოდა (24), ბეპემ კი 26 გაიტანა! ევროპის წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში გოლი მეტად ძვირად ფასობს, ეს კი განსაკუთრებით იტალიაზე ითქმის. ასეთ პირობებში სინიორის შედეგს არ შეიძლებოდა დიდი რეზონანსი არ მოჰყოლოდა.

1995-96 წლების ჩემპიონატში, როცა „ლაციოში“ თამაში არ გამოუვიდა ალენ ბოკშიჩს, მთელი ძალით ამოქმედდა სინიორი-კაზირაგის დუეტი, სინიორიმ 24 გოლი გაიტანა და „ბარის“ თავდამსხმელ იგორ პროტისთან ერთად სნაიპერთა შორის პირველი-მეორე ადგილები გაიყო. პიერ-ლუიჯი კაზირაგის ანგარიშზე კი 14 გოლი იყო. მაგრამ, როცა საქმე ევროპის პირველობაზე, ინგლისში წაყვანამდე მივიდა, საკიმ ნაკრებში კაზირაგი შეიყვანა, სინიორი კი არა. თუმცა ეს მაინცდამაინც არავის გაჰკვირვებია. „ლაციო“ იმ ჩემპიონატში საპატიო მესამე ადგილზე გავიდა, გუნდის ხელმძღვანელობამ კი იმდენი მოახერხა, რომ მომავალი სეზონისათვის პროტიც მიიწვია, სწორედ ის პროტი, რომელიც სინიორზე არანაკლები წარმატებით მოქმედებდა. სტატისტიკოსებმა შეადარეს კიდეც მათი მონაცემები: პროტიმ გოლები 17 მატჩში გაიტანა, სინიორიმ კი – 16-ში, იგორს ერთი ჰეთ-თრიკი ჰქონდა და ხუთი დუბლი, ბეპეს – ორი ჰეთ-თრიკი და ოთხი დუბლი. პროტიმ ჰეთ-თრიკს სწორედ „ლაციოს“ წინააღმდეგ მიაღწია, სინიორიმ კი პროტის კლუბ „ბარის“ წინააღმდეგ! სინიორიმ 12 გოლი 11-მეტრიანით გაიტანა, პროტიმ კი – 5.

„ლაციოს“ ხელმძღვანელობაში დიდი განხეთქილება მოხდა როცა გუნდი მარცხს განიცდიდა. ამას ძოფი ზემანს აბრალებდა, ჩეხი კი, როგორც ყოველთვის, აუღელვებელი იყო და აცხადებდა, რომ „ფეხბურთში წიწილებს ითვლიან... გაზაფხულზე!“

ბოლოს და ბოლოს ზემანს „ლაციოდან“ „რომაში“ გადასვლა მოუხდა და იქაც დიდხანს არ გააჩერეს. „ლაციო“ სინიორიმაც დატოვა და „ბოლონიის“ წამყვანი თავდამსხმელი გახდა.

ბივი გამრეკელი

რა ემართება „მილანს“?

ამ კითხვას იტალიელი მიმომხილველები უკვე მრავალი წელია, ხვამენ. მათი აზრი განსხვავებულია: ზოგი ოპტიმისტურად არის განწყობილი — ხომ გაიმარჯვა კლუბმა ბოლო ჩემპიონატში! სხვები ფიქრობენ, რომ „მილანის“ კრიზისი ჯერაც არ არის დაძლეული.

მოვუსმინოთ ცნობილ იტალიელ მიმომხილველებს.

ჯანი მურა (რომის გაზეთი „რეპუბლიკა“): როცა დღეს „მილანის“ კრიზისზე ლაპარაკობენ, გამოდიან, ჩემი აზრით, იმ მცდარი მოსაზრებიდან, რომ მან მოიგო სკუდეტო, „ლაციოს“ კი არ დაუკარგავს იგი. რაც შეეხება წინასასეზონო მომზადებას, მე მგონია, მან ისეთი მოთამაშეები არ შეიძინა, რომლებიც სჭირდებოდა. „ლაციოსგან“ განსხვავებით, მან მარცხიანად წარმართა სატრანსფერო პოლიტიკა. ახლა დაცვაში ნაკლებად არიან ის მოთამაშეები, რომლებიც შეიძლება შეცვლაზე გამოვიდნენ. მე არ ვიცი, რატომ შეიძინეს სერჟინიო, რომელიც ივიწყებს ხოლმე დაცვით ფუნქციებს. მინდა მივაქციო ყურადღება რეგრესს ტაქტიკური თვალსაზრისით. გუნდი 3+4+3 სისტემიდან 3+4+1+2-ზე გადავიდა. ამ სისტემას მესამე თავდამსხმელი შეეწირა. ახლა უკანდახეულის როლს ან ბობანი ასრულებს, ან ჯუნტი თუ ლეონარდო. უნდა ითქვას, რომ შევჩენკოს და ვეას კარგად ესმით ერთმანეთისა, ყოველ შემთხვევაში, უკეთესად, ვიდრე შევჩენკოსა და ბირჰოფს. მაგრამ ამასთან უნდა გითხრათ, რომ სანამ ბირჰოფს თადარიგში გადაისროდნენ, კიდევ დიდხანს მოუხდებათ ფიქრი. იმიტომ, რომ უნდა გვახსოვდეს ვეას ასაკიც — მან შეიძლება უოველ წუთს იჩინოს თავი.

ჯუზეპე პისტილი (რომის გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“, რომელიც ბოლონიაშიც გამოდის „სტადიოს“ სახელწოდებით): უაზრობაა ვილაპარაკოთ ალიბიზე, გუნდი ხომ ქვეყნის ჩემპიონატშიც გამოდის და ჩემპიონთა ლიგაშიცო. „ლაციო“ და „ფიორენტინაც“ ხომ იგივე შეჯიბრებებში მონაწილეობენ. ახლანდელი პრობლემები ხომ იმის გაგრძელებაა, რაც წინა ჩემპიონატშიც შეიმჩნეოდა. ეს არის პრობლემები, რომლებიც ზედმეტად შეფასებულ გუნდს აქვს ხნიერი მოთამაშეებით ძალა რომ ელევათ. ეს ნათლად ჩანს სამი მცველით თამაშისას. მალდინი ხანგრძლივად ვერ ითამაშებს მარცხენა მცველის პოზიციაზე. იგი ძალიან სასარგებლო იქნებოდა ერთ-ერთ ცენტრალურ მცველად, თუკი გუნდი ოთხი მცველით ითამაშებდა. სახარბიელო მდგომარეობა არც შუა ხაზზეა, იმიტომ, რომ ჰელვეგს უჭირს თამაში, სერჟინიოს არა აქვს დაცვის დახმარების უნარი, ალბერტინი „მუხლებზეა დაცემული“, გატუზო ბევრს ცდილობს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ გამოუცდელია. შევჩენკო? ხომ არის ფეხბურთში ოქროს წესი, მოთამაშე სათანადო სქემაში უნდა გამოსცადო, ახლა კი პირიქით იქცევიან. როგორ შეიძლება „მილანის“ განკურნება? ყველამ კრიტიკულად უნდა გადასინჯოს საკუთარი თამაში, ეს მწვრთნელ ძაკერონისაც ეხება.

ლოდოვიკო მარადეი („გაძეტა დელო სპორტი“): „მილანის“ გაჭირვება სინამდვილეში მთელი რიგი პრობლემებისაგან შედგება, რომელიც ახასიათებს საკუთარი სახის არმქონე გუნდს. დაშვებულია პერსპექტიული ხასიათის შეცდომები, ზედმეტად შეფასდა სკუდეტოს მოპოვება. ამან კლუბის ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ახლანდელი შემადგენლობა ოპტიმალური და კონკურენტუნარიანია. „მილანს“ ვერ უშველა ერთი ტაქტიკური სქემის მეორით შეცვლამ. მან ისიც დაკარგა, რაც ჰქონდა. ეჭვგარეშეა, იმ შემადგენლობით, რომელიც „მილანს“ ჰყავს, მას ძალიან გაუჭირდება. ამიტომ თითქმის რადიკალური ცვლილებები უნდა მოახდინოს. ძაკერონი? ცხადია, მისი ბედიც კითხვის ნიშნის ქვეშაა, იმიტომ, რომ ვერ შეძლო გუნდის რგოლების სათანადოდ დაბალანსება; მით უმეტეს, ოპტიმალური სათამაშო ნახაზის მონახვა.

ფრანკო ორდინე („ჯორნალე“): ჩემი აზრით, „მილანის“ დაცემა სამი რამით უნდა აიხსნას. პირველი: ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ ახლანდელი „მილანი“ ის გუნდია, რომელსაც წინა ჩემპიონატის ბოლო შვიდ ტურში ვხედავდით. სინამდვილეში კი, მეკარე აბიატის გარდა, ყველა სხვა მოთამაშეს ჩავარდნა აქვს. მეორე: გუნდი ფიზიკური თვალსაზრისით ჯეროვნად ვერ მოამზადეს ისე, რომ ქვეყნის ჩემპიონატშიც ეთამაშა და ჩემპიონთა ლიგაშიც. მესამე: არ იზრუნეს შემადგენლობის სათანადო გაძლიერებაზე. ისე რომ, ახლა დიდი საკითხია, შეძლებს კი ძაკერონი „მილანის“ მართვას, თუ იგი ისე დაქანდება, როგორც ეს ტაბარესის ან ხელმეორედ დანიშნული საკის დროს მოხდა.

საუკეთესონი

ჯონსონი და საბო

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციამ, რომელიც მსოფლიოს 135 ქვეყნის ჟურნალისტებს აერთიანებს, დაასახელა 1999 წლის საუკეთესო ვაჟი და ქალი მძლეოსანი. სპორტული მასმედიის რჩეულნი გახდნენ 200 და 400 მ. რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი მაიკლ ჯონსონი და რუმინელი გაბრიელა საბო, რომელმაც წლეულს მოიგო ოქროს ლიგის ტურნირი და 1999 წელს გახდა მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მძლეოსანი.

სპორტის აკადემიის ლაურეატები

საფრანგეთის სპორტის აკადემია ტრადიციულად თავის პრემიებს ანიჭებს მსოფლიოს საუკეთესო ათლეტებს თუ სპორტის მუშაკებს. მთავარი ნომინაცია – „გრან პრი" აკადემიამ მიანიჭა 1500 მ-ზე მორბენალ მაროკოელ ხიშამ ელ-გერუჟს, რომელიც ამ დისტანციაზე წლეულს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო 1 მილზე, 1500 და 2000 მ-ზე რბენაში დაამყარა მსოფლიოს რეკორდი.

კროსვორდი

თარაზულად: 1. „ფორმულა — 1"-ის ფრანგი პილოტი, 4-5. „ლაციოს" ხორვატი ფეხბურთელი, 5. ურუგვაელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1930 წლის ჩემპიონი, 7. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 8. მუხლის სახსრის ხრტილოვანი ჩანართი, 10. წარსულში გამოჩენილი კენიელი მორბენალი, 12. უკრაინელი სპრინტერი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 16. აღმოსავლური ორთაბრძოლა, 18. „დერბი ქაუნთის" იტალიელი ფეხბურთელი, 22. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 23. ამერიკელი ჩოგბურთელი, 25. მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელი, 27. ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 29-30. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 30. საქართველოს 1960, 62 და 63 წლების ჩემპიონი ფეხბურთში, 32. მოძრაობა ძალოსნობაში.

შვეულად: 1. „რომას" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 2. მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი, 3. ამერიკელი მძლეოსანი, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, 4-17. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 6-19. ცნობილი შვედი ჩოგბურთელი, 8. იტალიელი ფორვარდი, მსოფლიოს 1934-38 წლების ჩემპიონი, 9. აზიის 1968, 72 და 76 წლების ჩემპიონი ფეხბურთში, 10. „ფიორენტინის" თავდამსხმელი, 11. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 12. ცურვის სტილი, 13. „ტორინოს" ხორვატი ფეხბურთელი, 17. მექსიკის საფეხბურთო კლუბი, 19. 16-20 წლის ასაკის სპორტსმენი, 24. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 27. ლიტვის საკალათბურთო კლუბი, 28. მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი.

დიაგონალურად 8-1 სრულიად ებრაელთა მსოფლიო სპორტული თამაშები, 2-13. სლოვაკი ნახევარმცველი, ევროპის 1976 წლის ჩემპიონი, 4-14. უნგრეთის „დიდი გუნდის" კაპიტანი, 15-6. ქართველი მოჭიდავე, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი მსუბუქ წონაში, 29-20. 80-90-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი, 21-31. ფინელი სტაიერი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 22-32 სპორტული შედეგების დასაფიქსირებელი ხელსაწყოების ერთობლიობა, 33-26 უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი.



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. იოსელიანი, 4. სპიდვეი, 8. ბოტვინიკი, 11. ჰენტო, 12. არენა, 13. კუკი, 15. რაპირა, 17. ტარასოვი, 19. ბილბაო, 20. ადიდასი, 24. ტირი, 26. გალათასარაი, 27. ტაპი, 28. სალტო, 29. ვეა, 30. სოსიედადი, 31. მენტიანი. **შვეულად:** 1. ილიესკუ, 2. სელტიკი, 3. იტო, 5. პიკი, 6. ვერდერი, 7. ონელი, 9. ვალენსია, 10. როა, 12. ალანია, 14. თარჯი, 16. ატორი, 17. ტრაპატონი, 18. მენტიანი; 21. „დათვები". 22. ირაო, 23. ბასტია, 25. რაპიდი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

ტოტო ლოტო შედეგები

51-ე ტირაჟი. 26.12.99

ლოტო 6-42

2 6 11 16 28 31

გათამაშებაში მონაწილეობდა 13749 ვარიანტი

6 რიცხვი	0	× 19 076 ლ.	გადადის 01 ტირაჟში
5 რიცხვი	2	× 128,80 ლ.	
4 რიცხვი	31	× 11.00 ლ.	
3 რიცხვი	388	× 1.60 ლ.	

სუპერ 7

4 9 1 6 4 0 9

4916409	50 000 ლარი
916409	15 000 ლარი
16409	5 000 ლარი
6409	500 ლარი
409	50 ლარი
09	3 ლარი
9	50 თეთრი

მომენტალური ლატარიების „გოლი 98-ის", „ოლიმპის" და „ლოტო 6-42"-დან მოუგებელი ბილეთების კონკურსში გამარჯვებულთათვის, დასკვნით ღონისძიებაში (26 დეკემბერი) „ბედის ბორბალზე" გათამაშდა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა პრიზები, რომლებიც წილად ხვდათ მონაწილეთაგან ექვს ყველაზე იღბლიან მოთამაშეს.

დანარჩენ მოთამაშეებს გადაეცათ წამახალისებელი-საახალწლო საჩუქრები.

საშობაო-საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ლატარია „ლოტო 6-42"-დან პირველი ტირაჟი გაიმართება 16 იანვარს. ჯეკ-პოტი შეადგენს 19 076 ლარს.

„ტოტო ფეხბურთის" პირველი ტირაჟი ჩატარდება 15-16 იანვარს.

„ტოტო-ლოტო" გილოცავთ დამდეგ ახალ 2000 წელს!

რა ხდება ქვეყანაზე

მეტოქეობა კორტიდან ეკრანზე გადაინაცვლებს

საქმე იქითკენ მიდის, რომ ინგლისელ ჩოგბურთის ვარსკვლავს გრეგ რუსედსკის შესანიშნავი შანსი აქვს მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიაში ჯეიმს ბონდის შემსრულებელი მეექვსე მსახიობი გახდეს. დიახ, მას შემდეგ, რაც გრეგი თავის საცოლე ლიუსისთან (იხ. ფოტო) ერთად ლონდონში ყველა დროის ჯაშუშის შესახებ მორიგი სერიალის ფილმ — „მსოფლიო ნამეტანი პატარაას" ევროპულ პრეზენტაციას დაესწრო, ჰოლივუდელ პროდიუსორებს გაუჩნდათ იდეა — ხომ არ ესინჯათ — ჩოგბურთის ვარსკვლავი 007 აგენტის როლში? თუმცა, ამ შემთხვევაში ანტიგმირის როლის შეთავაზება მოუხდებათ კორტზე რუსედსკის მთავარი მეტოქისათვის, მეორე ბრიტანელ ჩოგბურთელ ტიმ ჰიმენისათვის.

„შთაგონების" პრიზი ენკვისტს

მონაკოში, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაში გამართულ ტრადიციულ მიღებაზე IAAF Gala, საგანგებო პრიზებით დაჯილდოვდნენ ამ წლის საუკეთესო მძლეოსნები. სუპერპრიზიების „ასწლეულის ათლეტებს" (იგი ერგოთ კარლ ლიუისსა და ფანი ბლანკერს-კუნს) და „წლის ათლეტების" პრიზების მფლობელებთან (მაიკლ ჯონსონი და გაბრიელა საბო) ერთად იაფის სრულიად უჩვეულო „ნადავლით" — „შთაგონებისათვის" აღინიშნა ექს-რუსეთელი, შვეციის წარმომადგენლის ლიუდმილა ენკვისტის გმირობა, რომელიც ტრიუმფით დაბრუნდა სარბენ ბილიკზე გადატანილი მძიმე ავადმყოფობის — მკერდის კიბოს შემდეგ და სევილიაში მსოფლიო პირველობა-99-ზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თარჯრბენში.

ლიუდმილა ენკვისტი

ხსოვნა

ირაკლი ვადაჭკორია

27 დეკემბერს 22 წლისა გახდებოდა, 14 ნოემბერს კი მკვლელის ხელმა შეიწირა მისი სიცოცხლე. მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრება სწავლასა და სპორტს მოახმარა — დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტი, წარმატებით გამოდიოდა მხედართა საქართველოს პირველობებში. ჯერ კიდევ ყმაწვილი ჩაირიცხა განათლების სამინისტროს საცხენოსნო სკოლაში. მწვრთნელ გელა ტატანაშვილის ხელმძღვანელობით დაოსტატდა ერთ-ერთ ულამაზეს სახეობაში „დაბრკოლებათა გადალახვაში". 1992-1993 წლებში ზედიზედ გახდა საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში, 1994 წელს უკვე მოზრდილებთან პაექრობაში მოიპოვა საპრიზო ადგილი. წარმატებით ასპარეზობდა სხვა შეჯიბრებებში თუ მასობრივ საცხენოსნო ღონისძიებებში. ცხენოსნობასთან განშორებას არც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აპირებდა, მაგრამ ასე უდროოდ დაესვა წერტილი ახალგაზრდა კაცის ოცნებებს. სპორტულმა სამყარომ მისი სახით დაკარგა უნიჭიერესი სპორტსმენი, სოფლის მეურნეობამ პერსპექტიული კადრი, საზოგადოებრიობამ — ახალი საუკუნის ღირსეული მოქალაქე.

საქართველოს განათლების
სამინისტროს საცხენოსნო
სპორტული სკოლა,
ვამეხ გაჩეჩილაძის სახელობის
მოყვარულ და პროფესიონალ
ცხენოსანთა საზოგადოება

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



28 დეკემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. საფეხბურთო მიმოხილვა (9.40), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30): ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი: სელტიკი – გლაზგო რეინჯერსი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00). სამახსოვრო მატჩები-99 – ესპანეთის სუპერთასი: ბარსელონა – ვალენსია (15.30, 22.10), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.50); სანდერლენდი – მანჩესტერ იუნაიტედი – პირდაპირი რეპორტაჟი (23.55), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი (23.40), ჩოგბურთი. დევისის თასი, ფინალი (18.05), ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი – ქალები (20.25). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: მანჩესტერ იუნაიტედი – სანდერლენდი, პირდაპირი რეპორტაჟი (0.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი: სამთოთხილამურეები (13.00), ტრამპლინიდან ხტომა (14.00), სნოუბორდი (17.30). ფეხბურთი. „ჩემპიონთა ლიგის კლასიკა" (18.00, 1.00).

29 დეკემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. რაგბის მოყვარულთათვის (20.10), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.20), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისი: ჩემპიონატის მიმოხილვა (13.15) ჩემპიონატების მატჩები – სანდერლენდი – მანჩესტერ იუნაიტედი (17.20), ჩელსი – შეფილდ უენსდეი – პირდაპირი რეპორტაჟი (23.55). მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები (23.45). ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (11.40), ჩოგბურთი. დევისის თასი, ფინალი (17.15). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგა: მანჩესტერ იუნაიტედი – სანდერლენდი (13.00), შეფილდ უენსდეი – ჩელსი (0.00). კალათბურთი. ნბა: ბოსტონ სელტიკსი – საკრამენტო კინგსი (15.30), ფეხბურთი. პორტუგალიის თასის ფინალი (2.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი. სამთოთხილამურეები (13.00), ტრამპლინიდან ხტომა (14.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (18.00, 1.00), აკრობატიკა. ევროპის ჩემპიონატი (21.30), ცხენოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება, ბელგიიდან (23.00).

30 დეკემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. დრიბლინგი (20.50). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი: ჩელსი – შეფილდ უენსდეი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.35). ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.55). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: შეფილდ უენსდეი – ჩელსი (15.30), ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი: სამთოთხილამურეები (13.30), ტრამპლინიდან ხტომა (14.30), ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (18.00, 1.00), ფეხბურთი – „ვარსკვლავთა გუნდი" – „ფორმულა-1" (19.00). ფიგურული ციგურაობა. გალა-ტურნირი, გფრ-დან (20.30). ცხენოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება, ბელგიიდან (23.00).

მალხაზ გაბუნია

რამდენიმე თვეში 53 წლისა გახდებოდა. ასე უდროოდ შეწყდა ქართული საფარიკაო სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის მალხაზ გაბუნიას სიცოცხლე. ფარიკაობას სასკოლო ასაკიდან დაუკავშირდა, გახდა სპორტის ოსტატი, შემდეგ დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და მთელი ცხოვრება მუშკეტერთა აღზრდას მიუძღვნა. შრომითი საქმიანობა განათლების ოლიმპიური რეზერვის საფარიკაო სკოლაში დაიწყო, შემდეგ გლდანის სკოლა-ინტერნატში უძღვებოდა ფარიკაობას. სწორედ აქ შენიშნა მწვრთნელმა ნიჭიერი შეგირდის ვლადიმერ აფციაურის შესაძლებლობები, თავდაუზოგავად იმუშავა მასთან, რაც უმაღლესი მიღწევით დაგვირგვინდა — ვლადიმერ აფციაური ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მაშინ მიენიჭა მალხაზ გაბუნიას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. ასევე წარმატებით ილვაწა უმაღლესი დაოსტატების სპორტულ სკოლაში. სიცოცხლის ბოლომდე კი თბილისის მერიის განათლების სამმართველოს ფარიკაობის სკოლაში მუშაობდა. აღზარდა ათეულობით მაღალი კლასის მოფარიკავე, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის მალხაზ გაბუნია დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

შესანიშნავი მწვრთნელის, საუკეთესო ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნების მალხაზ გაბუნიას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი აღზრდილებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს სპორტის
სახელმწიფო დეპარტამენტი,
ფარიკაობის ფედერაცია.

ლეკო გამომცდელის როლში

20 წლის უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო ახლა რეიტინგ-ლისტით მსოფლიოს მეცხრე მოჭადრაკეა და მისი მონაწილეობა ყველა ასპარეზობაში სასურველად ითვლება.

ახლახან ლეკო მიიწვიეს ჰამბურგში 17 წლის პერსპექტიულ გერმანელ ოსტატ დიმიტრი ბუცმანთან სათამაშოდ. გერმანელები ბუცმანზე გარკვეულ იმედებს ამყარებენ და ცდილობენ მისთვის კარგი გამომცდელების შერჩევას.

ჭაბუკს ამჯერად თავი არ შეურცხვენია. მან ლეკოს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და თუმცა წააგო — 2:4, მაგრამ კარგი თამაში აჩვენა. ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა, ბუცმანმა კი ორი პარტია შავებით წააგო, როცა ფრანგულ დაცვას მიმართა.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლ:h6!
1. ...მფd4 2. ლg5 e5 3. ლg1X.
1. ...მფD6 2. ლ:e6+ მფ:c5 3.ლb6X.
2. ...მფc7 3. ლd7X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: ქაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი.